საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

ოთხშაბათს, 7 ივლისი 1920 წ.

ერთობა

ფასი 5 მანეთი

გაზეთი ღირს თვეში **125 მანეთი**. ცალკე ნომერი ყველგან **5 მანეთი** განცხადების ფასი პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი **10 მანეთი**, მეოთხე გვერდზე **6 მანეთი**. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივი ზომის **(15—2) 200 მანეთი**. ნისიათ განცხადება არ დაიბეჭდება. რედაქცია და კანტორა იმყოფება: **ერთობის ქ. № 4.** შესახვევი რუსთაველის ქუჩის **№ 18-თან. ტელეფონი 16—62.**

№ 151 ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა. № 151

საქართველოს სოც.-დემ მუშათა პარტიის

ცენტრალური კომიტეტი

მოთავსებულია ერთობის ქ. № 4, მესამე სართული, შესახვევი რუსთაველის ქუჩიდან № 18, ტელ. 11—79.

დედა ცოლი და დები ტრაგიკულად გარდაცვალებულის

გრიგორი ლაზრიშვილისა

გულითად მადლობას უძღვნიან ყველა იმ ნათესავთ დ ნაცნობებს რომლებმაც გაიზიარეს იმათი მწუხარება. (2196—1—1)

მ. ს. მუშათა მაგიდის განცხადება.

ყველა მუშა და მოსამსახურეები, რომლებიც სარგებლობენ სახელმწიფო მომარაგების ფონდით, მიიღებენ ამა წლის 1-ლ ივლისიდან: შაქარს, ჩაის და ასანათს ამ ნორმით: სულზე 2 გირვანქა შაქარს 17 მანეთად გირ., ჩაი ¼ გირვანქას სულზე 100 მ. გირ. და ასანათი 1 კოლოფი სულზე—1 მ. 50 კ. ცალი.

ზემოაღნიშნულ სურსათს მიიღებენ იმავე წესით, რა წესითაც იღებენ პურს შეერთებულ ჯგუფებით. ჯგუფების რწმუნებულნი ვალდებულნი არიან შეიტანონ მთელი ჯგუფის ფული მუშათა მაგიდის სალაროში და ორდერის მიღების შემდეგ მიმართონ ოფიცერთა ეკონომიურ მთავარ მაღაზიაში კიროჩნის ქუჩაზე.

მუშათა მაგიდის სალარო ღიაა ამ ორდერების შესაძენათ ყოველ დღე 9—1 საათამდე, ხოლო საზოგადოების მაღაზია ღიაა დილის 8—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

მუშებსა და მოსამსახურეებს წინადადება ეძლევათ დაჩქარებით შეიტანონ ფული, რადგანაც სურსათის ძლევა შესწყდება 15 ივლისს.

შრომის სამინისტრო. (ნ.—5—5)

ქუთაისის სამაზრო ერობის გამგეობა

იწვევს მიმდინარე წლის 19 ივლისს ამავე ერობის ხმოსანთა მორიგი (მეხუთე)

ყრილობას

განსახილველია საკითხები: 1) მოხსენება გამგეობისა წასული წლის მოქმედების შესახებ. 2) 1920 წლის სავარაუდო შემოსავალ-გასავლის ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა და დამტკიცება. 3) მუხიანის, მუხაყრუის და დიდი-ჯიხაიშის უბნების მომრიგებელ-მოსამართლეთა არჩევა. 4) წვრილი ერთეულები, 5) სესხის აღება, 6) გამგეობის წევრის არჩევა, მიმდინარე საკითხები. ყრილობა გაიხსნება ზემოხსენებულ რიცხვს დილის 10 საათზე ერობის ბინაზე.

ერობის გამგეობა. ნ, 4—1)

განცხადება

11 ივლისს სოფ. სკრაში დანიშნულია ზეპირი

საჯარო ვაჭრობა

სკრის სახელმწიფო მამულის 35 დესიატინა ბაღის ამა წლის მოსავალზე. ვაჭრობა დაიწყება 1,800,000 მანეთიდან. ცნობის მიღება შეიძლება თფილისში სახელმწიფო მამულთა განყოფილების გამგესთან (მიწათ-მოქმედების სამინისტრო) და სკრაში მამულის მოურავთან. (2199—3—1)

რესპუბლიკის ქალაქთა კავშირი

ქალაქთა კავშირის საწყობში მიღებულია და იყიდება ხელით საბეჭდავ

მანქანების ლენტები

ბითუმათ მყიდველებმა უნდა მიმართონ საკომერციო განყოფილებაში, გოგოლის ქ. № 51. ტელეფონი 11—54. ცალობით მყიდველებმა კი სომხის ბაზარი № 73 ტელეფონი: 18—20.

(2195—1—1)

რესპუბლიკის ექიმთა პროფ. კავშ. საერთო კრება

თფილისის განყოფილებისა მოხდება სახელმწიფო უნივერ. დიაგნოსტიკურ კლინიკის აუდიტორიაში (დიდი მთავრის ქ. № 103, ყოფილი ალექსანდრეს საავადმყოფო) პარასკევს ამა წლის ივლისის 9, საღამოს 7 საათზე, დღიური წესრიგი: 1) წინა კრების ოქმის დამტკიცება; 2) განხილვა ურთი-ერთ დამხმარე კასის წესდების პროექტისა; 3) კოოპერატივის დაარსება; 4) ექიმთა შორის ანკეტის მოხდენის შესახებ; 5) საკითხი პროფ. კავშირის სარეკომენდაციო უფლებისა ექიმების ადგილზე დანიშვნის დროს; 6) მიმდინარე საკითხები; 7) სარევიზიო კომისიის არჩევნები. შენიშვნა. საწევრო ფულის შეტანა და წევრად ჩაწერა შეიძლება კავშირის ხაზინადარ ექ. ტყეშელაშვილთან ყოველ-დღე საღამოს 5—6 ს. (ბელგიის ქუჩა № 1). (2198—1—1)

ძნის შესაკვრელი მანილის კანაფი

იყიდება მ. ლ. ლუზლინსკის კანტორაში

დიდი მდავრის ქ. № 34. ტელეფონი: 15—40.

(2200—3—1)

გიაურ-არხის სახელმწიფო მამულის გამგე აცხადებს

საჭიროა დიდძალი მუშები:

კასი და კალი

ხელფასი გადიდებულია.

(2188—2—2)

ექიმი

ნიკოლოზ სიმ.-ძე **ხეჩინოვი**

ილეუს სნეებით, ქალურ და შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილის 12—2 ს. და საღ. 5—7 ს. ბელინსკის ქ. სახ. № 21, ბინა 2. ტელეფ. 11—74.

2048—თ.

მედიცინის დოქტორი

ა. ა. მონსე

საზაფხულოთ წავიდა წაღვერში, ბორჯომის ახლო. აგარაკი მიხაილოვისა. მიღება ავათმყოფებისა: დილით 8—12 საათამდე კვირაობით, სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

(1989—10—7)

ბათომის დღესასწაული

დღეს საბოლოოდ დანიშნულია ქ. ბათომის და მის მხარის ოფიციალურად გადაცემა საქართველოს რესპუბლიკის ხელში. ქ. ბათომში ჩამოიხსნება უცხოელთა დროშა და აფრიალდება დროშა საქართველოსი.

ორ წელიწად ნახევარია, რაც ბათომი ძალით ჩამოსჭრეს საქართველოს. ამ მტკივნეული ოპერაციის მომქმედი იყო რუსეთში იმ დროს ახლად დამკვიდრებული ბალშევიკური მთავრობა, რომელმაც ბრესტ-ლიტოვსკში მთელი სამხრეთი ამიერ-კავკასია ოსმალეთს აჩუქა და ამით ჩაიდინა ამიერ-კავკასიის ძმართ ნამდვილი გამყიდველობა. ამით დაიწყო ჭეშმარიტი ტრაგედია ერთის მხრით ბათომ-აჭარისა, რომელიც გმინავდა ბალშევიკების მიერ ჩადენილ ვივისექციისაგან (ცოცხალი ორგანიზმის გაჭრისაგან), მეორე მხრით—თვით საქართველოსი და ქართველი ერისა, რომელსაც ჩამოაშორეს საუკეთესო მხარე და უძველესი ნაწილი ერისა. ორივე —როგორც ბათუმ-აჭარა, ისე საქართველო—ორ წელიწად ნახევრის განმავლობაში მწარედ იბრძოდენ ორგანიზმის გასამრთლებლად. ამ ბრძოლაში მათ საშინელს წინააღმდეგობას უწევდა მსოფლიო რეაქცია და იმპერიალიზმი, დახმარებას კი—მსოფლიო დემოკრატია.

ოსმალური ბარბაროსობა, დენიკინური რუსული კონტრ-რევოლიუცია, კომუნისტურ-რუსული იმპერიალიზმი, საერთაშორისო სპეკულიაცია—აი ვინ იყვნენ შეერთებულნი ბათომ-აჭარის საბოლოოდ საქართველოსაგან მოსაწყვეტად და სხვადასხვა ჯურის მტაცებელთა შორის გასანაწილებლად. საქართველოს დემოკრატიის თავგანწირული ბრძოლა, ბათომ-აჭარის მოსახლეობის დემოკრატიული ნაწილის დაჟინებითი მოთხოვნა, დასავლეთ-ევროპის დემოკრატიის ზნეობრივ-იდეური გავლენა—აი ის ძალები, რომლებიც მუშაობდენ ბათომ-აჭარის და საქართველოს სასარგებლოდ. პირველ ბანაკში თავი მოიყარა ცარიელმა ფიზიკურმა ძალამ, მაგრამ იქ არავითარი ზნეობრივი და იდეური ძალა არ სჩანდა. მეორე ბანაკში, პირიქით, სულ მცირე ფიზიკურ ძალას ეყრდნობოდა, მაგრამ მასში თავმოყრილი იყო მთელი ზნეობრივი და იდეური ძალა. ზნეობრივ-იდეური გამარჯვებული გამოვიდა, ფიზიკურ-მტაცებლური—დამარცხებული. ოსმალური ბარბაროსობა, კომუნისტური იმპერიალიზმი, დენიკინური კონტრ-რევოლიუცია და საერთაშორისო სპეკულიაცია მათი ხიშტებით და მილიონებით გაკოტრებული გამოდგა. ბათომ-აჭარა ამიერიდან ისევ გადიქცევა საქართველოს ორგანიზმის ნაწილად.

ერთხანს მაინც კიდევ თავს იჩენს ის საშინელი ჭრილობა, რომელიც მიადგა საქართველოს ბათომ-აჭარის მოკვეთით. ჩვენს რესპუბლიკას მოუნდება ძლიერ ენერგიული ზომების მიღება ამ ჭრილობის განსამრთელებლად. უპირველესი ამ ზომათაგანი იმაში მდგომარეობს, რომ ამ მხარის მოსახლეობა განთავისუფლდეს იმ გამხრწნელ ძალებისაგან, რომლებიც მას სულს უხუთავენ და სასოწარკვეთილებაში აგდებენ. ეს ძალებია—სპეკულიაცია და ანარქია. ამ ორმა მტერმა მთლად გაანადგურა ადგილობრივი მოსახლეობის სასიცოცხლო ძალები: სპეკულიაციამ მას პირიდან გამოგლიჯა უკანასკნელი ლუკმა, ანარქიამ ასწეწ-დასწეწა მისი შინაური ცხოვრება. სპეკულიანტებისაგან გაწმენდა ბათომისა ოსმალთა და „კომუნისტ" ყაჩაღებისაგან გაწმენდა მთელი მხარისა—აი ზომები, რომლებიც საჭიროდ არის მისაღები.

მაგრამ ეს გაწმენდა მხოლოდ საქმის ერთი მხარეა. გაწმენდასთან ერთად საჭიროა მანე მუშაობა **აღდგენაზე**. უნდა აღდგეს დანგრეული ეკონომიური კეთილდღეობა. უნდა მხარეს დაუბრუნდეს ის წესიერება, რომელიც მოუსპეს აჭარის მოსახლეობას სხვადასხვა ჯურის მტრებმა. ანარქია უნდა შეიცვალოს სახელმწიფო წესიერებით.

ეს არის პირველი და აუცილებელი საქმე, რომელსაც მოწყურებულები არიან როგორც აჭარის მოსახლეობა, ისე საქართველოს დემოკრატია. წყურვილი საერთოა ამიტომ იგი საერთო ძალით უნდა დაკმაყოფილდეს. ადგილობრივ ცხოვრებათა ხმას ყველა ამ საკითხების გადაჭრაში უპირველესი მნიშვნელობა მიეცემა. ყოველი ნაბიჯი, რომელიც გადაიდგმება აჭარის საქმეების მოსაწყობათ, შეფარდებული იქნება ადგილობრივ მოსახლეობის სურვილებთან და საჭიროებებთან. ამ შეთანხმებული მუშაობის კონკრეტიული ფორმების შემუშავება, ეჭვი არ არის, ჩვენი რესპუბლიკის ბათომში შესვლის პირველ დღიდანვე დაიწყება.

„კომუნისტის" მკითხველებს

VII

კარგი მოწმე.

ერთ ყრუს ვიცნობდი. მორცხვათ მალავდა თავის სიყრუეს. როცა კითხავდით, როგორ ბრძანდებით, —დიაღ, დღეს კარგი ამინდიაო, გეტყოდათ. „საქართველოს კომუნისტი" ძალიან მაგონებს ამ ნაცნობს, იმ განსხვავებით, რომ ის ურცხვათ იყრუებს თავს.

მე ჩემ ფელეტონში ხაზი გავუსვი სადაო კითხვებს, შემოვხაზე საბრძოლველი ასპარეზი, ვთქვი, რომ ბალშევიკურ რუსეთში ძალმომრეობა არის კერპათ გადაქცეული და ფეხით გასრესილია მშრომელი ხალხის დიქტატურათქო. ეს ვერ (?) გაიგონა „საქართველოს კომუნისტმა", ამოიღო ჩემი წერილიდან სხვა ერთი გრძელი ადგილი,—და,—დიაღ, ყველა ამ სტრიქონებს სავსებით ვაწერთ ხელსო.

ფ. მ—ძეს, მე ვფიქრობ, ლოღიკა არ შემოაკლდება მისი პატარა თანამშრომლებივით, და თუ იმ ჩემ სტრიქონებს ის სავსებით აწერს ხელს, მაშინ „საბჭოთა" რუსეთის სინამდვილეს ვეღარ მისცემს ამისთანა ხელწერილს. უნდა დამეთანხმოს, რომ ეს სინამდვილე ძირიანათ ეწინააღმდეგება იმ აზრს, რომელიც გატარებულია მისგან ხელ მოწერილ ჩემ სტრიქონებში.

აქამდის ტყუილია, ტყუილით,—გაიძახოდენ „კომუნისტში" ყველაფრის შესახებ, რასაც ჩვენ ვამბობდით ბალშევიკური რუსეთის გასაცნობათ. ახლა საუკეთესო მოწმე გვყავს.

გუშინწინდელ „კომუნისტში" დაბეჭდილი იყო ლენინის წერილი ინგლისის მუშებისადმი. როგორც ვიცით „საბჭოთა რუსეთი" ინახულეს ინგლისის მუშათა კლასის წარმომადგენლებმა. რადიოს ცნობებიდან სჩანდა, რომ ისინი აღტაცებაში იყვნენ ბალშევიკური „სოციალიზმით". ლენინის წერილიდან სჩანს, რომ მათ ეს „სოციალიზმი" არაფრათ მოსწონებიათ. მთელი წერილი უიმედობის კილოთია დაწერილი. ლენინი ცდილობს დააჯეროს თავისი თავიც და მკითხველებიც, რომ, თუ ინგლისელი დელეგატები რუსეთიდან ცუდი შთაბეჭდილებით მიდიან, ეს თითონ მათი ბრალია. ბურჟუაზიის გავლენა ეტყობათ ამ მუშებსო,—ფიქრობს და ამბობს ლენინი. მის თვალში ბურჟუაზიაა ყველგან, სადაც არ არის კომუნისტური პარტია. სწუხს, რომ ინგლისში ჩანასახიც არ სჩანს ამ პარტიის.

ერთი სიტყვით, ის ქვეყანა, რომელიც მარქსს მიაჩნდა სოციალისტური რევოლიუციის კერათ, ლენინმა ახლა ერთხელ კიდევ გამოაცხადა არა კეთილსაიმედოთ. მესამე ინტერნაციონალმა ალბათ ვერ შეიტანა იქ გზის მაჩვენებელი „სხივი." დელეგაციებიც ვერ გაიყოლებენ თან ამისთანა სხივს. ეცოდინებათ მხოლოდ და გააგებინებენ თავის კლასსაც, როგორ არ უნდა კეთდებოდეს რევოლიუცია.

ინგლისელ წარმომადგენლებს ლენინთან საუბარში გამოუთქვამთ დიდი ეჭვი. უკითხავთ, რა მიზეზია, რომ „საბჭოთა" რუსეთში მოსპობილია პოლიტიკური თავისუფლება, რატომ მენშევიკებს არ აქვთ გაზეთიო და სხვა. საყურადღებოა ლენინის პასუხი. სიტყვა „ბეჭდვის თავისუფლება" ბურჟუაზიისათვის იქნება ხელსაყრელი, ის ამით ისარგებლებს და ადვილათ მოაწყობს ხოლმე შეთქმულებებს საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგათ.

„კომუნისტმა" ლენინის სიტყვით დაამოწმა ის, რასაც ჩვენ ვამბობდით, და რაც ამ გაზეთს „ტყუილებათ" გამოჰქონდა. ამ ერთ ფაქტს მაინც აღარ სჭირდება გრძელი დასაბუთება. ცხადია, რომ ბეჭვდითი სიტყვის თავისუფლება რუსეთში არ აქვს მენშევიკებს, მუშა მშრომელ ხალხს. „კომუნისტი" გვარწმუნებს, ვითომ, იქ არამშრომლებს წაერთვათ პოლიტიკური თავისუფლებაო, მაგრამ ბალშევიკების სამეფოში არამშრომელი არ არსებობს, მუშათა კლასია იქ დიქტატურის ობიექტი და არა სუბიექტი, ის დგას დიქტატურის ქვეშ და თითონ არ არის მისი მატარებელი.

ამას ვამბობდით ჩვენ, ეს დაამტკიცა ლენინმა თავის წერილით, და „საქართველოს კომუნისტმა" ამ წერილის გადმობეჭვდით.

დაუკვირდით ლენინის „თეორიას": თუ მუშათა კლასის სიტყვა-ბეჭდვის თავისუფლება მიეცა, ამით ბურჟუაზიის გავლენა გაიზრდებაო. მალე სამი წელიწადი იქნება, რაც ბურჟუაზიას სპობენ და ის თურმე იმდენათ ძლიერი ყოფილა კიდევ, რომ თავისთვის გამოიყენებს მენშევიკების გაზეთებსაც. ჩიტის თავშიაც არ დაიბადება ამისთანა აზრი, და ჩვენ არასოდეს არ დავიჯერებთ, რომ ლენინს თითონ სწამს, რასაც სწერს ინგლისელ მუშებს.

კარგათ იცის, რომ ბურჟუაზია კი არა, მუშათა კლასი გამოიყენებს პოლიტიკურ თავისუფლებას ბალშევიკების წინააღმდეგ, მარტო ერთი მენშევიკური გაზეთი „საბჭოთა" რუსეთში—ეს იქნება თავის თავათ შეთქმულება, რომლისაც ეშინია ლენინის პარტიას. რაც უნდა ზომიერათ სწერონ ამ გაზეთში, არ შეიძლება, რომ ამით იერიქონის საბერვლებივით არ იმოქმედოს „სოციალისტური რუსეთის" კედლებზე. იატაკქვეშ მოწყობილი შეთქმულების არ ეშინია ლენინის მთავრობას. ამისთანა გამოსვლებში ის მხოლოდ კაპიტალს იძენს. ათას წილათ უფრო სახიფათოა მისთვის მისი მოწინააღმდეგეების ლეგალური მუშაობა.

ლენინის მთავრობის წინააღმდეგ მშვიდობიანი გზა—საყოველთაო კენჭის ყრა, თავისუფალი სიტყვა და ბეჭდვა უფრო ხელსაყრელია ჩვენთვის, ვიდრე შეიარაღებული აჯანყება. მე აქ შემიძლია გავიმეორო ეს აზრი, რომელიც დიდი ხანია გამოსთქვა ენგელსმა. შეიარაღებული აჯანყება ბალშევიკურ თვითნებობას გაამაგრებს, **ერთი თვის** ლეგალური მუშაობა კი ისე შეარყევს, როგორც ვერ შეარყევია ამ ორი წლის სამოქალაქო ომს. აი რატომ ერიდებიან „საბჭოთა" რუსეთის მეთაურები მშვიდობიან პოლიტიკურ ბრძოლას.

ჩვენ აქ, როგორც ხედავთ, არ ვერიდებით, არ გვეშინია მოწინააღმდეგების ლეგალური მუშაობის. მათი იდეური სისუსტე საუცხოოთ გამოჩნდება ამ მუშაობაში. აგერ 16 ნომერი გამოვიდა ბალშევიკური გაზეთის და ვერ ვხედავთ მის გარშემო თავმოყრილ ძალებს. თითო-ოროლა მისალმება, სათითაოდ მონდობილობით ხელმოწერილი, ეს ისეთი რაზმია, რომელიც ერთი ქათმის ნისკარტსაც არ ეყოფა საკენკათ.

ლეგალური ოპოზიცია საბჭოთა რუსეთში სახიფათოა ბალშევიკური მთავრობისთვის. ბალშევიკების ლეგალური ოპოზიცია დემოკრატიულ საქართველოში სახიფათოა ბალშევიკური პარტიისთვის.

ს. დევდარიანი.

მორიგი პროვოკაცია

კომუნისტები განაგრძობენ თავის სანაქებო მუშაობას. მიზანი ამართლებს საშვალებას—აი ის დაჟანგული იარაღი, რომელიც დიდი ხანია ბალშევიკებმა გამოათრიეს იეზუიტების საწყობიდგან და დღემდე უხვათ სარგებლობენ. ისინი არ ერიდებიან არავითარ სიყალბეს, ცრუ ცნობებს, ჭორებს, რომ შექმნან ჩვენს ირგლივ მათთვის სასარგებლო ატმოსფერა, აამღვრიონ წყალი, რომ შიგ თავისუფლათ ინავარდონ. მთელი მათი პრესა რუსეთში სავსეა ჩვენს შესახებ ათას გვარი ყალბი ცნობებით. დღეს დასწერენ: დაიწყო გლეხების საყოველთაო აჯანყება. ხვალ დაუმატებენ: მიღებული ცნობების თანახმად აჯანყებულებმა ხელში ჩაიგდეს არსენალი, სამხედრო საწყობები და როგორც ფინალი—დიდი ასოებით დაბეჭდენ: ჟორდანიას მთავრობა გაიქცა, საქართველოში საბჭოთა მთავრობა გამოცხადდაო.

ასეთი ჭორებით კვებავენ კომუნისტების გაზეთები თავიანთ მკითხველებს რუსეთში და ვინ იცის რა ფანტასტიურ გეგმებს არ აშენებენ ამ ყალბ და მოჭორილ ცნობებზე.

მართალია, ამ ბოლო ხანებში ეს ჭორები თვით კომუნისტების ზოგიერთ წრეებშიაც ღიმილს იწვევს დ ინფორმატორების შესახებ არა ერთ და ორ ოხუნჯობას გაიგონებთ, მარა ეს მაინც არ უშლის ხელს ბეჭდონ და ავრცელონ ეს მათგანვე სამასხროთ აღებული ცნობები.

თუ როგორ ყალბ ცნობებს აწვდიან კომუნისტები თავიანთ მკითხველებს, ამის საუკეთესო ნიმუშია ბაქოს „კომუნისტში" მოთავსებული ცნობა თფილისიდან.

ბაქოს „კომუნისტის" უკანასკნელ ნომერში დიდი ასოებით არის დაბეჭდილი თფილისიდან მიწოდებული ასეთი ცნობა: **„27 ივნისს თფილისში შედგა მრავალ-რიცხოვანი მიტინგი. მთავრობამ მოედანზე გამოიწვია ცხენოსანთა რაზმი, რომელმაც მიტინგს თოფები დაუშინა. მიტინგის მონაწილეთაც სროლითვე უპასუხეს. მოხდა შეტაკება, რის შედეგი იყო რამდენიმე კომუნისტის დაჭრა და მრავალის დაპატიმრება".**

ზედ-მეტია იმაზე ლაპარაკი, რომ ეს ცნობა თავიდან ბოლომდე გამოგონილია. ვინ არ იცის, რომ 27 ივნისს თფილისში არავითარი მიტინგი არ ყოფილა, მით უმეტეს სროლა და დაჭრა? ნუ თუ კომუნისტებს თავის წარმომადგენლის კიროვის მაინც არ რცხვენიათ ასეთი ჭორებისათვის! ის ხომ მაშინ აქ იყო!

ამ დედაბრულ ჭორზე ბაქოს „კომუნისტი" მრისხანე წერილს სწერს, ნ. რამიშვილზე მუქარით ჯავრს იქარვებს, და თავს იმით ინუგეშებს რომ ქართველმა მუშებმა და გლეხებმა უკვე შეიგნეს თავის ინტერესები, სადაცაა კიდევაც შესძლებენ ჯალათი მთავრობის ჩამოგდებას და საბჭოთა მთავრობის გამოცხადებასო. დიდ ხანს ცდა აღარ დაგჭირდებაო.

ასე ინუგეშებს თავს მეჭორე „კომუნისტი" და ალბათ ამიტომ თხზავენ ყოველ დღე ასეთ ყალბ ცნობებს. მათ სურთ ნიადაგი მოუმზადონ იმ ბაქი-ბუქობას, რომლითაც ისინი ბაქოს და მის არე-მარეს აყრუებენ.

მაგრამ უნდა იცოდენ ბაქოს კომუნისტებმა, რომ ქართველმა მუშებმა და გლეხებმა დიდი ხანია შეიგნეს ვინ არის მათი მტერი და ვინ მოყვარე და რამდენიც უნდა ეცადონ—მიზანს ვერ მიაღწევენ. ამის უტყუარი თავდებია თვით კომუნისტების საქმიანობა. თუ დღემდე ეს მათი საქმიანობა შორს იყო—დღეს ის უკვე მეზობლათ ხდება და ეს საშუალებას აძლევს ჩვენს მუშებს და გლეხობას უფრო ახლო გაიცნონ ისინი, ვინც მათ სიტყვით „ოქროს მთებს" პირდება.

საქმით კი განადგურებას და აოხრებას უქადის... **განი.**

სალამი ბათომს!

თითქოს გუშინ მომხდარიყოს ბათომის დაკარგვა. ფიქრი იმ უკუღმართ დღეზედ, როდესაც საქართველოს დემოკრატიას წაართვეს მისი პოლიტიკური აღზრდის აკვანი და გზა მოუჭრეს ევროპისკენ, ყოველ წამს თან ახლდა შავი აჩრდილივით რესპუბლიკის მოქმედს და ცოცხალ ელემენტებს.

ოსმალეთის მთავრობას ბათომი არ ესაჭიროებოდა. მაგრამ აზიის ჩარჩაკეტილობის და საშუალო საუკუნოების აზროვნების მატარებელ სტამბოლს, რომელმაც შეითვისა ევროპის „შანტანების" კულტურა და ფართოდ კარი გაუღო მთელი ქვეყნის „ბირჟევიკებს", მიზნად ჰქონდა დასახული საქართველოს რესპუბლიკა თავის გავლენის ქვეშ მოექცია და ევროპიულ გზაზედ დამდგარ დემოკრატიისთვის, ისევ აზიისკენ ებრუნებია პირი.

ეს მშვენივრად ესმოდა ჩვენს მოწინავე დემოკრატიას, ამას ინსტიქტიურად გრძნობდა მთელი ქართველი ხალხი და მას ერთხმად ჰქონდა გადაწყვეტილი არ დამორჩილებოდა ისტორიის უკუღმართ განაჩენს.

დღეს ეს უკუღმართობა მოისპო. ბათომი უბრუნდება ჩვენს დემოკრატიას. მარტო ეს გამარჯვება კმარა ჩვენი სიცხოველის და პოლიტიკური სიმწიფის დასამტკიცებლად.

ბათომის დაკარგვის უკუღმართ დღეს ჩვენ ვწერდით:

ნახვამდის, ძვირფასო ბათომო!

დღეს, როდესაც დემოკრატია დღესასწაულობს მის მორიგ გამარჯვებას, ჩვენ ვამბობთ:

სალამი, ძვირფას ბათომს და მის დემოკრატიას!

ვიქტორ თევზაია

პრესა

რომ კომუნიზმმა გაფართოების მხრივ ერთნაირი კოტრობა განიცადა, ამას აღიარებს თვით „კომუნისტიც", მხოლოდ ამ აღიარებას ჩვეულებრივ კომუნისტურ ბაქიაობით აზავებს:

„აღსანიშნავია სწორეთ ის, რომ რევოლიუციის გაღრმავება ხდება მის გაფართოების ხარჯზე, ე. ი. რაც უფრო აშკარავდება მისი პროლეტარული ხასიათი, მით უფრო ვიწროვდება მისი გავლენის ტერიტორია. ცენტრში რევოლიუცია ძლიერია, ცენტრიდან დაშორებით ის შედარებით სუსტია, რაც შეეფერება ამ ადგილების ეკონომიურათ ჩამორჩენილობას, ხოლო განაპირა ქვეყნებში, სადაც ამ ჩამორჩენილობას ზედ ერთვის ნაციონალური მომენტი, პროლეტარული მომენტი, პროლეტარული რევოლიუციის გავლენა კიდევ უფრო მოისუსტებს. რევოლიუციის გაღრმავებას და აქედან წამომდგარ შედეგებს მისი მტრები მით ინაზღაურებენ, რომ ცდილობენ დაავიწროონ მისი სიფართე და შედარებით კიდეც აღწევენ მიზანს. სხვადასხვა მომენტები და განსაკუთრებით ნაციონალური მომენტი ამას ხელს უწყობს. გამწვავებულ სამოქალაქო ომის დროს ცენტრს თანდათან სწყდება მისი განაპირები, რომლებიც მარტო და მხოლოთ თებერვლის ბურჟუაზიული რევოლიუციის მონაპოვარებს აძლევენ არსებობის უფლებას და გზას უჭრიან რევოლიუციის შემდეგ გაღრმავებას.

ამნაირათ, რევოლიუციის საერთო ნაკადი, რომელიც პირველ ხანებში თანასწორათ სწვდებოდა მთელ სახელმწიფოს, თანდათან შეიზღუდა სიფართოვის მხრით და განაგრძო განვითარება მარტო სიღრმის მიმართულებით".

ხდება, თუ არა, მოსკოვში „რევოლიუციის გაღრმავება", ეს ჯერ კიდევ ძლიერ და ძლიერ საკამათო საგანია. კომუნისტების მოწინააღმდეგენი, მაგ. ფიქრობენ, რომ ეს „გაღრმავება" უდრის ღრმა საფლავის გათხრას, როგორც მთელი რუსეთის დემოკრატიისათვის, ისე რევოლიუციისათვის. ამ ამონაწერიდან უდავო ხდება მხოლოდ ის, რომ კომუნიზმის გავლენა მსოფლიოში დღითი-დღე ვიწროვდება. მართლაც და რუსეთის გარდა კომუნიზმი ყველაზე მეტათ გერმანიაში იძლეოდა იმედებს. მაგრამ იქ იგი იმდენათ გაკოტრდა, რომ არჩევნებში კომუნისტებმა მხოლოდ ორი დეპუტატი გაიყვანეს.

როგორც რუსული, ისე ქართული „კომუნისტი" აღშფოთებით ლაპარაკობენ იმ „თეთრ ტერორზე", რომელიც ვითომდა გამეფებულია საქართველოში.

„იჭერენ ათობით და ოცობით ჩვენს ამხანაგებს, ციხეში ისტუმრებენ სამაზრო კომიტეტების მთელს შემადგენლობას, იჭერენ ჩვენი გაზეთის მკითხველებს, საველე სასამართლოთიც კი ემუქრებიან მათ".

ასე ღაღადებს ქართული „კომუნისტი", ამასვე იმეორებს რუსული „კომუნისტი"-ც:

„მენშევიკების ძალა-უფლება ეყრდნობა მხოლოდ ხიშტებს, განსაკუთრებულ რაზმებს, რომლებითაც ფართოდ არის დაფარული მთელი ქვეყანა".

აქედან ორივე მოძმეს ასეთი დასკვნა გამოჰყავს:

„არ უნდა შეგვაშინოს და ვერც დაგვაშინებს წვრილ ბურჟუაზიული რეაქცია, ის იხოცება თავისივე წვენში, ის წამოსკუპებულია ხიშტის წვერებზე, მარა დიდხანს ასეთი ჯდომა შეუძლებელია მისთვის, ის წაიქცევა თავის ხიშტებზე".

ასე იმშვიდებენ თავს კომუნისტები. მაგრამ საოცარი ერთი რამ არის: ვინ არ იცის, რომ ტერორი (ნამდვილი ტერორი და არა ის, რასაც ბალშევიკები ჩვენში „ტერორად" ნათლავენ) მთელს საბჭოთა რუსეთშია საშინლად გამეფე-

ბრიუსელის კონფერენცია შეთანხმდა გერმანიის კონტრიბუციის განაწილების საკითხში.

ფრანგული ცნობით მუსტაფა ქემალ ფაშას წინააღმდეგ სამხედრო მოქმედება სასურველად ვითარდება.

პოლონეთის ჯარი უკრაინაში კონტრ-შეტევაზე გადავიდა.

გენერალური შტაბის ცნობა.

ყველა მიმართულებებზე სიწყნარეა.

თფილისი, ივლ. 6. განჯაში დაპატიმრეს კომუნისტების კომიტეტი სურგულაძის მეთაურობით, ის მონაწილეობას იღებდა კინტრიშის ხიდის აფეთქებაში. კომიტეტი ცდილობდა ჩვენი საზღვრით საბჭოთა რუსეთში წასვლას. დაპატიმრებულნი საველე სასამართლოს გადასცეს.

ბული, რომ მთელი საბჭოთა რუსეთი ათასჯერ უფრო ხიშტებზე (და მარტო ხიშტებზე!) დაყრდნობილი, ვიდრე ჩვენი რესპუბლიკა; საბჭოთა რუსეთში არა მარტო იჭერენ ასობით (როგორც ამას ცრუობენ ჩვენს შესახებ კომუნისტები), არამედ ათასობით და ათი-ათასობით ხვრეტავენ; საბჭოთა რუსეთის ჩრეზვიჩაიკებთან ჩვენი განსაკუთრებული რაზმი კრავად მოგვეჩვენება. და თუ ჩვენთვის ეს მცირე რეპრესიები ჩვენი სისუსტის მომასწავებელია, რაღა უნდა სთქვან ქვეყანამ და ძლიერი ლოღიკის პატრონმა კომუნისტებმა საბჭოთა რუსეთის შესახებ, სადაც ეს რეპრესიები მართლაც ერთად-ერთი ფორმაა სახელმწიფოებრივი ცხოვრებისა?

ᲑᲝᲚᲨᲔᲕᲘᲙᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲠᲘᲒᲘ ᲞᲠᲝᲕᲝᲙᲐᲪᲘᲐ

ბაქოს „კომუნისტში“ (2 ივლისი) დაბეჭდილია შემდეგი ცნობები საქართველოს შესახებ:

მიტინგის დახვრეტა თფილისში.

განჯა. 1 ივლისი. 27 ივნისს თფილისში გაიმართა მიტინგი, რომელზედაც დიდძალი ხალხი შეგროვდა. მთავრობამ გამოიწვია მოედანზე ცხენოსანი რაზმი, რომელმაც სროლა აუტეხა მიტინგს. მიტინგის ზოგიერთი მონაწილენი სროლითვე უპასუხებდენ. გაიმართა სროლა, რასაც შედეგათ მოყვა რამდენიმე კომუნისტების დაჭრა. ბევრი კომუნისტი დაიჭირეს.

ნოე რამიშვილის ახალი გმირობა.

საქართველოს მშრომელ ხალხის ნებასურვილის უზურპატორთა ბოროტმა ბრბომ, რომლებიც თავიანთ თავს „სოციალ დემოკრატებს“ უწოდებენ, თავიანთ სულის ჩამდგმელის—ნოე რამიშვილის მეთაურობით,—იმ რამიშვილის, რომელიც ნამდვილი ქართველი ფონპლევე აოის,—ამ ბრბომ ახალ სისხლიან „გმირობით“ დაავირგვინა თავის „დემოკრატიულ რესპუბლიკის“ აღშენებლობის საქმე.

დღევანდელი დეპეშა მოგვითხრობს მენშევიკურ ჟანდარმების მიერ ქართველ მუშათა მიტინგის დახვრეტის შესახებ,—მუშების, რომლებმაც გაბედეს ყველას გასაგონათ განეცხადებიათ, რომ მათ მენშევიკურ „სამოთხეში“ არც ისე რიგზეა ყველაფერი, როგორც ამაზე გაიძახიან მთელი ქვეყნის ყველა გზაჯვარედინებზე მისი მატყუარა მზრუნველები, რომ ბოლო უნდა მოეღოს 3 წლის სიცრუეს, რომ ქართველ მუშებსა და გლეხებს არ შეუძლიანთ მეტი მოითმინონ დაცინვა, რომელიც მოხერხებულათ, მაგრამ გამსჭვირვალეთ არის გამოხვეული „მარქსისტულ“ თეორიის ბურუსში.

ქართველი მუშები და გლეხები ხმა მაღლა აცხადებენ, რომ მაშინ, როდესაც აღმოსავლეთისა და დასავლეთის მშრომელნი გადამჭრელ ბრძოლას აწარმოებენ მსოფლიო კაპიტალისა და იმპერიალიზმის გიდრასთან,—ამ დროს მათ—საქართველოს მშრომელთა კლასს—არ შეუძლია განზე გადგენ და ჩინურ კედლებით გამიჯნონ თავიანთი პატარა, ადგილობრივი ინტერესები მსოფლიო რევოლიუციისაგან.

ისინი აცხადებენ, რომ მენშევიკურ „დემოკრატიულ“ რესპუბლიკის ფარგლებში მათთვის სივიწროვეა.

ასე ლაპარაკობდნენ მიტინგზე თფილისში საქართველოს მუშები და გლეხები თავიანთ საუკეთესო წარმომადგენლების—ამხ. კომუნისტების პირით.

მაგრამ... ნოე რამიშვილის ცხენოსანმა რაზმმა ჩააჩუმა ისინი ტყვიის სეტყვით.

ხალხის თავისუფალი ნების გამოხატვა დასრულდა სისხლის აბანოში ბანაობით.

რევოლიუციონურმა პროლეტარიატმა ახალი სისხლიანი მსხვერპლი მიიტანა პროლეტარულ რევოლიუციის სამსხვერპლოზე.

და ეს მსხვერპლი, ჩვენ გვწამს, დააჩქარებს აღსასრულს ჯალათებისას, რომლებიც ფიქრობენ „ხალპებით“ ჩააჩუმონ მშრომელთა ნება და გზა აუხვიონ აუცილებელ წითელ ბედს.

ფუჭი ოცნებაა!

ამ ახალ დანაშაულობის პასუხი იქნება მძლავრი გამოძახილი მშრომელთა საქართველოსი:

ძირს რევოლიუციის გამყიდველები! გაუმარჯოს საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკას!

ბევრი ლოდინი უკვე საჭირო არ არის!

ქ. რ. ა. ხ.

ჩვენ კარგათ გვესმის რას აკეთებენ ბოლშევიკები ასეთი ცნობების გავრცელებით. ამას გარდა, უეჭველია ბაქოში მათი შემუშავებული გეგმა **თფილისში** გამოსვლის შესახებ არ გამართლდა. მართალია, ამ გამოსვლის „პლანი“ **დაბეჭდეს** მათ ბაქოში, მაგრამ თვით გამოსვლა ვერ **მოაწყვეს** თფილისში ადგილობრივმა კომუნისტებმა. — ამიტომ სწერდა გუშინდელ ნომერში ქართულ-რუსული თფილისის „კომუნისტი“ „ლეგალურ მუშაობაზე“, რომ მათ ხელს უშლიან ამაში და სხ. ჩვენ კი ვიცით, რომ, როცა ბოლშევიკებთან ლაპარაკობ „ქვა უნდა გეჭიროს ხელში“.

ᲑᲐᲗᲝᲛᲘᲡ ᲒᲐᲓᲛᲝᲪᲔᲛᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ

რესპუბლიკის ერობებს, სოფლის ყველა მოქალაქეთ.

ერობათა კავშირის კომიტეტი გილოცავთ იმ დიდ სახალხო დღესასწაულს, იმ ეროვნულ ზეიმს და გამარჯვებას, რომელიც ჩვენმა რესპუბლიკამ მოიპოვა. ბათომი და მისი ოლქი, რომელიც ორი წლის განმავლობაში მთელი ქართველი ხალხის გლოვის საგანი იყო, უკვე თავისუფალია. დაკარგული მარგალიტი დაუბრუნდა ჩვენს რესპუბლიკას.

უსწორო ბრძოლის შემდეგ ქართველ ხალხს, საქართველოს რესპუბლიკას ხმალით მოკვეთეს მისი სასიცოცხლო და უძვირფასესი ნაწილი. ორი წლის წინათ დაჰკრა ბათომის სამგლოვიარო ზარმა და მისი მწუხარე ბგერა დღემდე ესმოდა და სტანჯავდა ყველა ქართველის სმენასა და გულს. გაიხარეთ მოქალაქენო, გლოვა გათავდა. მაშ, გაიხადეთ შავი ძაძები. ტარიელ-ფრიდონ-ავთანდილმა—საქართველოს მუშა-გლეხმა-მხედარმა ქაჯეთის ციხე უკვე აიღეს, და განთავისუფლებული ნესტან დარეჯანი საქართველოს მოგვარეს. ის საბედისწერო ჭრილობა, რომელიც მუხანათმა მტერმა მიაყენა ჩვენ სახელმწიფოებრივ სხეულს ორი წლის წინათ, და რომელიც ასე ბორკავდა და სჩაგრავდა ჩვენს წინსვლასა და განვითარებას, უკვე განიკურნა. ცუდათ ჩაუარა ჩვენს მტრებს იმ მუხანათურმა და მოღალატურმა მოღვაწეობამ, რომელიც ამ ხნის განმავლობაში იქითკენ იყო მიმართული, რომ ჩვენი ძველი ეროვნული კულტურის და ახალი განმათავისუფლებელი მოძრაობის აკვანი სამხრეთ-დასავლეთი საქართველო და ბათომი, რესპუბლიკისაგან სამუდამოთ ჩამოეგლიჯათ. ისიც იცით, თუ რა გააფთრებით ესხმოდნენ ამ ქვეყნის მოზანს არა მარტო გარეშე, არამედ შინაური მტერი და ორგულნი, რომელთა განზრახვა იყო ბათომის სამუდამოთ ჩამოგლეჯით, სასიკვდილო ლახტი ჩაეცათ საქართველოს რესპუბლიკისათვის. მაგრამ გარეშე მტერი და შინაური მოღალატე დამარცხდა. საქართველოს შებოჭილი და დამახინჯებული სხეული გაიხსნა და გამთლიანდა. ფართო შარა გზა ევროპისაკენ, განათლებულ ქვეყნებისაკენ, უკვე ხსნილია ქართველი ხალხისთვის. საქართველოს შეგნებულ და შეკავშირებულ დემოკრატიის შემოქმედებას უფართოესი ასპარეზი და სარბიელი ეხსნება.

მოქალაქენო, საქართველოს გამთლიანების კითხვა თითქმის დასრულდა. ჩვენი ყურადღება ეხლა უმთავრესათ უნდა მივაქციოთ შინაური მდგომარეობის განმტკიცება-აღორძინებას. შრომა და შრომა, შრომა დაუღალავი და ნაყოფიერი, შრომა ხალისიანი და იმედიანი, აი რა მოგვცემს ჩვენ საბოლოო ბედნიერებას. აი საითკენ უნდა იქნეს დღეს მიქცეული მთელი ხალხის გულისყური და ენერგია. ის ხუნდები, რომელიც ამდენ ხანს გვედო, უკვე დაიმსხვრა. მაშ ეხლა უფრო თავისუფლათ გავანძრიოთ ხელი. ჩვენი შრომა ამიერიდან უფრო ძლიერი იქნება.

მაგრამ ამავე დროს გახსოვდეთ, რომ მონაპოვარს შენახვა და დაცვა სჭირია. ხომ ხედავთ, რომ ბათომი მხოლოდ მაშინ ჩაგვაბარეს, როდესაც ევროპა დარწმუნდა, რომ ჩვენ შეგვძლებია სახელმწ. აშენება და მისი სასტიკად დაცვაც მოსეულ მტრის წინააღმდეგ. ქართველმა ხალხმა ამ უკანასკნელ დროს საბოლოოთ დაუმტკიცა მთელ ქვეყნიერებას, რომ ის სავსებით მომწიფებულია დამოუკიდებელ და თავისუფალ ცხოვრებისათვის

სიამოვნებით უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ, ამ დიდ საქმეში დიდი წილი უდევს სათემო და სამაზრო ერობებს, რომლებმაც ასე ბრწყინვალეთ ჩაატარეს ჯარების მობილიზაცია და ეგზომ განამტკიცეს ფრონტის ზურგი. ეს ბრწყინვალე ფურცელი უკვე ჩაიწერა ჩვენს ერობათა ისტორიაში. რესპუბლიკას სრული იმედი აქვს, რომ ამიერიდანაც ასეთსავე მტკიცე და მედგარ მესვეურობას გაუწევენ ჩვენი ერობები რესპუბლიკის სოფელს ყოველივე დარგში.

მოქალაქენო, საქართველოს აშენებლობის საქმე უკვე სრულდება. უძნელესი და უმძიმესი ხანა უკვე თითქმის სავსებით გავიარეთ. დიდი გაჭირვება გადავიტანეთ, მაგრამ კიდევ ცოტა, სრულიად ცოტა გაიჭირეთ და, აჰა, უკვე გავდივართ ფონს.

გაუმარჯოს დამოუკიდებელ, დემოკრატიულ და ამიერიდან გაერთიანებულ საქართველოს რესპუბლიკას...

საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის **ერობათა კავშირის კომიტეტი.**

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲠᲣᲡᲔᲗᲨᲘ

(გაზეთებიდან).

ზიზღი „გელფერიხოველებს“. გუშინ „გელფერიხ სადეს“ ქარხნის მუშებმა უარი განაცხადეს ზედმეტი 2 საათის სამუშაო შესრულებაზე... მთელი ხარკოვის ქარხნების მუშები, სახელმწიფოთა და სხვა დაწესებულებათა მოსამსახურენი ასრულებენ ზედმეტ სამუშაოს. „გელფერ სადეს“ მუშებმა კი უარი განაცხადეს და წავიდნენ ქარხნიდან. „გელფერ სადეს“ მუშები ისეთივე პირობებში იმყოფებიან, როგორც ხარკოვის სხვა მუშები, მათ იმდენივე ეძლევათ სურსათი, რაც სხვებს. ქარხნის სასადილოდან, ისინი ყოველ დღე იღებენ სადილებს. მათ მარარებელი უცდის სამუშაოს გათავებამდე და სახლში მიყავთ ისინი. და ყოველივე ამის მიუხედავათ, რომ თვით მენშევიკები მოუწოდდნენ ემუშავნათ, ის მენშევიკები, რომლებიც ორპირულათ უყურებენ შრომის ფრონტის კვირას და ზოგიერთ ადგილას ჩაშალეს კიდეც იგი, მუშებმა არ მოისურვეს მუშაობა. გარდა ამისა, მათ სამუშაოზე ხელი აალებინეს იმ ბურჟუებს, რომელთაც მუშათა და გლეხთა მთავრობამ აიძულა სავალდებულო სამუშაოს შესრულება და აწმენდინებდა ქარხნის ეზოდან იმ სიბინძურეს, რომელიც ომის დროს დაგროვდა.

კონტრ-რევოლიუცია კარგა ხანია შეიჭრა „გელფერიხ სადეს“ ქარხანაში. ბურჟუაზიის აგენტები კარგა ხანია იქ აკეთებენ თავიანთ საქმეს და სურთ გახრწნა შეიტანონ მუშათა ოჯახში. გუშინ მათმა მუშაობამ ნაყოფი გამოიღო. რა სიამოვნებით დასცინოდნენ გუშინ ის ბურჟუები მუშებს, რომელთაც იგინი მუშაობისაგან გაანთავისუფლეს. როგორ ბრწყინავდა ამ ბურჟუათა თვალები, როდესაც დაინახეს ასეთი შეუგნებლობა ხარკოვის მუშების. სამარცხვინო ბოძზე გააკრეს თავიანთ თავი „გელფერიხ სადეს“ მუშებმა, მათ შეუძლიათ ამ ჩირქის მოშორება იმ ხუთი დღით, რომელიც დარჩა შრომის კვირიდან. ამას მოითხოვს ხარკოვის პროლეტარიატი და მისი საბჭო. საბჭო მოუწოდებს მუშებს მოჰკიდონ ხელი სამუშაოს. ამ ქარხნის სინდისიერმა მუშებმა უნდა მოსწმინდონ ქარხანას ის ჩირქი, რომელიც მიცხეს მას სპეკულიანტებმა, მახინის მომხრეებმა და მეღუქნეებმა. (უკრაინის „კომუნისტი“ № 99).

შრომის ფრონტის დეზერტირი. სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის რევოლიუციონურმა ტრიბუნალმა გაარჩია საქმე მინაევისა, რომელმაც თავის ნებით მიატოვა სამუშაო ტულის იარაღის ქარხანაში. გამოძიებამ გამოარკვია, რომ მინაევი სხვა მუშებთან ერთად გაემგზავრა ქარხნიდან სურსათ-სანოვაგის შესაძენად, მაგრამ შეპყრობილ იქნა სად. ხარკოვში. სასამართლომ გაარჩია რა მინაევის საქმე, მიუსაჯა 3 თვით სავალდებულო სამუშაოს შესრულება და თავისუფლებაც მოუსპო. („კომუნისტი“ 99).

5 და 6 ივნისის ღამეები ხარკოვში. ხარკოვის „კომუნისტში“ მე 3 გვერდზე დიდი ასოებით არის დაბეჭდილი შემდეგი მოწოდება-მუქარა:

„ხარკოვის მუშამ 6 ივნისის ღამეს სპეკულიაციის გათავხედებულ მტაცებლებს მიაყენა სასტიკი ზიანი. დე ფრთხილობდნენ პოლონელ პანების მეკობრეები. ხარკოვის მუშა ვერ დამშვიდდება, მაგრამ ხარკოვში ნამდვილი მუშათა მთავრობა არ იარსებებს“.

რაშია საქმე, ან რა ზიანი მიაყენეს მუშებმა ბურჟუაზიასო,—იკითხავს მკითხველი. ამის შესახებ იმავე გაზეთში ერთ-ერთი მწერალი შემდეგს სწერს:

„რამდენიმე ათასი მუშა მოედო უბნებს, დაიწყეს ჩხრეკა, ნივთების წამოღება, და ამ ღამეს ყველაფერი ის, რაც ბურჟუაზიის მიერ ნაშოვნი იყო მუშების შრომით, მას წაერთვა მაგრამ გარდა ბურჟუაზიისა, საინტერესო იყო თურმე შეხვედრა საბჭოთა მთავრობის მოსამსახურეებთან: „რასაკვირველია, 5-დან 6 ივნისის ღამის შეხვედრა მეტათ სხვადება იმ შეხვედრებისაგან, რომლებიც ხდება საბჭოთა დაწესებულებებში. დაწესებულებებში ჩვენ ვხედავთ მხოლოდ ნდობას, ბინაზედ კი შეიძლება დავინახოთ ნამდვილი სა-[illegible], სხვათაშორის, რატომ არაფერს არ აღწევს მიზანს დაწესებულებების ბურჟუაზიულ ელემენტებისაგან „გაწმენდის“ ცდები საანკეტო ფურცლების საშუალებით. საანკეტო ფურცელი, სწორედ იმ შემთხვევებში, როდესაც იმით უნდა ვისარგებლოთ, როგორც ბურჟუაზიულ ელემენტებისაგან გაწმენდის საშუალებით, იწერება არა იმისათვის, რომ ითქვას სიმართლე, არამედ—იმისათვის, რომ ის დაიმალოს, სხვა საქმეა, როცა ადამიანსა ჰხედავ „სახლში“ აქ უკვე ველარ დამალავ შუბს ხალთაში.

ერთ წერილში პ. შუბინი ვრცლად უამბობს მკითხველს ვიღაც მოხუცის შეხვედრას, რომელიც აღმოჩნდა რომელიღაც ქ. ფაბრიკის კომიტეტის თავმჯდომარე და რომელიც ყველას ღრმა რწმენით ტიპიური ბურჟუა იყო. ამ ღამეს ყველა „არა მშრომელ“ ელემენტებს ჰგზავნიდენ კონცენტრაციულ ბანაკში სამუშაოთ. თუ წინათ ბურჟუაზიული ქალები ამაყობდენ თავისი ძვირფასი ტანისამოსებით, ეხლა აყარეს კაბები, სამცვლები და ფეხსაცმელები ჩამოერთვათ“.

ასე ერთი მათრახით სცემენ საბჭოთა რუსეთში როგორც მუშებს, ისე ბურჟუებს.

„ᲬᲘᲗᲔᲚ“ ᲐᲖᲔᲠᲑᲔᲘᲯᲐᲜᲨᲘ

(გაზეთებიდან).

ბაქოს მუშების საჩუქარი. პროფესიონალურ კავშირთა საბჭომ გადასწყვიტა სურსათ-სანოვაგე გაუგზავნოს საჩუქრათ მოსკოვის პროფესიონალურ კავშირებს. „ნარკომპროდმა“ უკვე ნება დართო გაიგზავნოს მოსკოვში ბრინჯი, საზა, ქიშმიში, შაქარი, ჩაი, თამბაქო და სხვა, სულ 125 ვაგონი. საერთო ღირებულება უდრის 8 მილ. მანეთს; ღირებულების დასაფარავათ განზრახულია გადასდონ ერთი დღის ხელფასი. განზრახულია აგრეთვე ასეთივე სამარშრუტო მატარებელი საჩუქრებით გაიგზავნოს დასავლეთის ფრონტზე.

გაერთიანებულ საბჭოს ცენტრალურმა გამგეობამ მოწოდებით მიმართა ბაქოს მუშებს, სადაც იგი აღნიშნავს იმ აუტანელ პირობებს, რომელშიაც ბრძოლა უხდება მოსკოვისა და პეტროგრადის პროლეტარიატს. უკანასკნელი კლდესავითა სდგას მტრის წინააღმდეგ, მაგრამ მეტათ მძიმე პირობებშია ჩაყენებული შიმშილობის გამო. ამიტომ გაერთიანებული კავშირი მოუწოდებს მუშებს გადასდონ თავიანთი ხელფასის ნაწილი სურსათ-სანოვაგის შესასყიდათ, რომელიც მოსკოვში გაიგზავნება. პროფესიონალურ კავშირთა საბჭომ გადასწყვიტა გაგზავნოს მოსკოვში 12 ვაგონი სურსათ-სანოვაგე. („კომუნისტი“ № 15).

ხოცვა-ჟლეტა შუშაში. სომხური გაზ. „არაჩი“ (30 ივნ.) იტყობინება: შუშაში შეიარაღებული თათრები თავს დაესხნენ რუსებისაგან შემდგარ ქალაქის გარნიზონს და ამოხოცეს 300-მდე კაცი.

ნური-ფაშა. იგივე გაზეთი იტყობინება: სარწმუნო წყაროებიდან ჩვენ გვატყობინებენ, რომ ნური-ფაშა კვლავ აგროვებს ჯარებს და ჰფიქრობს ხელ-ახლა დაესხას თავს ბოლშევიკების ჯარებს.

ბრძანება განჯის რაიონს № 1038.

ამ ბოლო დროს შემოდის მშრომელ გლეხებისაგან საჩივრები, რომ მათ ზოგიერთი პირები არ აძლევენ უფლებას მოკრიბონ მოსავალი. განჯის რაიონის ყველა სოფლების, უბნების და მაზრის რევკომები მოვალენი არიან დაუყონებლივ აცნობონ გლეხობას, რომ მათ ხელს არვინ შეუშლის მომკან ყანები, გალეწონ და დათესონ პური.

„ოპროტკომოდიკა 20“ მოსავლის აკრეფა მემამულეთა მიწებიდან განსაზღვრულ უბნებში დაევალა წითელ არმიელებს, ეს იმას არ ნიშნავს, რომ იმ გლეხებს, რომელთაც ამ მინდვრებში დათესილი აქვთ პური, არ იქნებიან წითელარმიელებთან დაშვებულნი მოსავლის მოსაკრეფათ. მშრომელთ შეუძლიათ დამშვიდდებით იმუშაონ თავიანთ მინდვრებში, ნუ იფიქრებენ და ნუ შეეშინდებათ, რომ მათ ბოროტი ელემენტები დაესხმიან თავს. ის პირნი, რომლებიც ხელს შეუშლიან გლეხებს მოუარონ პურნახულს, თვით გლეხებმა უნდა შეიპყრან და პასუხისგებაში მისცენ იმ სისასტიკით, რომელიც შეეფერება რევოლიუციონურ ხანას.

ყველა ასეთი შემთხვევები უნდა შეატყობინონ დაუყონებლივ „ჩრეზვიჩაიკაში“, საჭირო ზომებისათვის. საბჭოთა მთავრობა დარაჯათ უდგა მშრომელთა მასსას და დაიცავს რევოლიუციონურ წესრიგს. განჯის რაიონის საგანგებო

კომისარი **ს. მ. ეფენდიევი.**

ნაროდეც მე-20 **ველიკანოვი.**

მდივანი **ნ. კალანდაძე.**

გა ცხადება. ქალაქში (განჯაში) კვლავ გრძელდება წითელ არმიელების ფორმაში გამოწყობილ პირთა მიერ (თავიანთ ნებაზე) ჩხრეკა. ვინც ამ საქმეში შემჩნეული იქნება, დაუყონებლივ დაიხვრიტება საქმის გამოუძიებლათ და გაუსამართლებლათ.

მსრ. დივიზიის უფროსი **ლიბერმანი.**

ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲝ ᲑᲘᲣᲠᲝᲡ ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘ

6 ივლისი.

ბათომი. კვირას, დილის 8 საათზე, საქართველოს ჯარები შევიდა ბარცხანაში. დღის 1 საათზე ბათომიდან იქ, სადაც ჩვენი ჯარი იყო დაბანაკებული, გაემგზავრენ დამფუძნებელი კრების წევრები, მეჯლისის წარმომადგენლები შემდეგ—ბეგ აბაშიძის თავმჯდომარეობით, ბათომის საზოგადო მოღვაწეები, საქართველოს დეპეშათა წარმომადგენლისა და კინემატოგრაფის ტეხნიკების თანხლებით. ბარცხანა ეროვნული დროშებით არის მორთული. გზის მთელი ხაზი, ბათომიდან დაწყებული მორთულია დროშებით, არკებით და გირლიანდებით. ვაგონები სულ მწვანეშია ჩაფლული. ჯარები დაბანაკებულია ზღვასთან ახლოს დიდ მინდორზე და მოუთმენლად ელის ქალაქში შესვლას. მოვიდნენ სახალხო გვარდიის უფროსი ვ. ჯუღელი, ალ. დგებუაძე და გ. ხიმშიაშვილი, რომელნიც უმაღლეს სარდლობასთან და დელეგატებთან ერთად ათვალიერებდნენ ჯარებს და ჯარის კაცებს ესაუბრებოდნენ. სულიერი განწყობილება საუცხოვოა.

ბათომი. ივლ. 6. საბოლოოდ გამოირკვა, რომ ბათომში შევა ჯარი 7 ივლისს, დღის 12 საათზე. 6 საათზე „აზიზიეს“ მოედანზე შესდგება ქართველთა და მოკავშირეთა ჯარების აღლუმი, აღლუმის შემდეგ საქართველოზე ბათომის გადაცემის გამო ცერემონიალი მოხდება.

ბათომი. ივლ. 6. ბარცხანაში მოვიდენ ინგლისის მთავრობის წარმომადგენლები გენ. კუკ-კოლისი და პოლკ. სტოკსი, რომელთაც საქართველოს ჯარების მთავარსარდლობასთან საუბარი ჰქონდათ.

ბათომი. 6 ივლ. დღის თფილისიდან ჩამოვიდა იტალიის რწმუნებული მინისტრი ბ-ნი მერკატელლი, რომელსაც სადგურზე შეხვდა საპატიო ყარაული. მატარებლის მოსვლისას სადგურზე შეიკრიბნენ ბათომში მყოფი მოკავშირეთა მისიები, საქართველოს ელჩი, გენ. მდივანი და სხ. იმავე დღეს მერკატელლმა ინახულა გენ. მდივანი, რომელსაც დიდ ხანს ესაუბრა.

ბათომი. კვირას მეჯლისის წარმომადგენლები მამედ-ბეგ-აბაშიძის მეთაურობით წარუდგნენ საქართველოს მთავრობის საგანგებო წარმომადგენელს ბ-ნ ხოჭოლავას და მასთან ხანგრძლივი საუბარი ჰქონდათ.

ბათომი. ივლ. 6 ქალაქში თფილისიდან მოდიან სხვა და სხვა დაწესებულებათა წარმომადგენლები ადგილობრივი მთავრობიდან საქმეების მისაღებათ.

ბათომი. ივლ. 6. ჩვენს კორესპონდენტთან საუბრის დროს სახალხო გვარდიის შტაბის თავმჯდომარემ ვ. ჯუღელმა განაცხადა: საქართველოს გაერთიანებულ დემოკრატიის ნებამ გაიმარჯვა. ჩვენ შევედით ბათომში და ვიგრძენით ოლქს. ამისკენ მიისწრაფოდა მთელი საქართველო. მისი შეიარაღებული ძალები უკვე ბათომის კარებთან იდგა. გვარდია, როგორც ერთი კაცი, სისხლით იმავე გრძნობით არის გატაცებული, როგორც ჯარის ნაწილები, რომელთაც საბედნიეროთ წილად ხვდათ პირველად ბათომში შესვლა. ბათომის პროლეტარიატმა, რომელიც ჩვენს ბრძოლაში ყოველთვის მოწინავე ელემენტს წარმოადგენდა, აქაც თავისი გააკეთა. ჩვენ შეგვხვდა 600 სახალხო გვარდიელი, რომელიც ბათომის დემოკრატიისაგან არის შემდგარი. ეს რაზმი, რომელიც გამოცდილი და გამოწრთობილ მებრძოლთაგან შედგება, საქართველოს ნაწილებთან ერთად ბათომის საიმედო დამცველი იქნება.

კონსტანტინოპოლი. „სტამბოლი“ იუწყება თეირანიდან მოსული ცნობით თავრიზში მდგომარეობა გაუმჯობესდა. ბოლშევიკებმა მოახდინეს ქალაქის ევაკუაცია. ენზელში ბოლშევიკებმა რამდენიმე თვალსაჩინო მოღვაწე სიკვდილით დასაჯეს.

კონსტანტინოპოლი. რუსეთის პრესბიურო იუწყება: გენ. ვრანგელი აწიათარებს შტურმს და მიაღწია მიხაილოვკა-ბოლშოი-ტოკმაკამდე. წამოიღეს 10000 მეტი ტყვე, ხელში ჩაიგდო 48 ზარბაზანი, 3 ჯავშნიანი მატარებელი, 9 ჯავშნიანი ავტომობილი და დიდძალი ხორბალი.

კონსტანტინოპოლი. გაზ. „სტამბოლ“-ში პერ-ლე-გოლფი გენ. ვრანგელის ჯარის შესახებ სწერს: ჯერ კიდევ რამდენიმე ხნის წინად ევროპაში ისეთი აზრი იყო, რომ „თეთრები“ უკვე არ არსებობენ და რუსეთი საბჭოთა სახელმწიფოა. ცხოვრებამ კი გვიჩვენა, რომ ბოლშევიკები გამარჯვებიდან ისევ შორს რჩებიან. იმ დროს, როდესაც ბოლშევიკები ფიქრობდნენ ივლისის პირველ რიცხვებში მოსალოდნელ დარჩენილ ნაწილების სრულ განადგურებას, ამ დროს გენ. ვრანგელის ჯარი შეტევაზე გადავიდა და ამ გვარად მტერი გააფთხილა. იმავე დროს სხვადასხვა მიმართულებით დაიწყო მოქმედება პისარევის, კუტეპოვის და სლაშჩევის ნაწილებმა. ამ ჟამად ჯარმა დნეპრის ნაპირებს მიაღწია და მალე ხერსონსაც ჩაიგდებს ხელში. მელიტოპოლიდან ჯარი ალექსანდროვსკისაკენ იწევს. ძნელი გამოსარკვევია, თუ როგორი იქნება მოსალოდნელი გამარჯვება, მაგრამ უნდა ვიფიქროთ, რომ შარშანდელი შეცდომები განმეორებული აღარ იქნება. ევროპა თავიდან მოისწრაფის და ამიტომ, რუსეთში ისევ ისეთი გამოურკვეველი მდგომარეობა იქმნება, რომ ჯერ-ჯერობით ნაადრევია კრასინთან მოლაპარაკება საბჭოთა რუსეთთან ვაჭრობის აღდგენის შესახებ.

ყირიმში. სევასტოპოლიდან თფილისში ჩამოვიდა მიმართვების სამინისტროს წარმომადგენელი დ. კ. ვაჩეიშვილი,

ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲬᲔᲡᲬᲧᲝᲑᲘᲚᲔᲑᲐ

(მოკლე მიმოხილვა)

დღეს აუცილებლად საჭიროა ქართველმა მკითხველმა საერთო, ზოგადი წარმოდგენა მაინც იქონიოს სხვადასხვა ქვეყნის სახელმწიფოებრივ წესწყობილებაზე. ახლა ეყრება საფუძველი ჩვენი რესპუბლიკის კონსტიტუციურ აგებულებას. ამიტომ საჭიროა ვიცოდეთ, სულ მოკლედ მაინც, რაში ვემსგავსებით სხვა კულტურულ უფლებრივ სახელმწიფოებს და რით განვსხვავდებით მათგან.

ჩვენ მოკლედ და ობიექტიურად გამოვხატავთ ყველა ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვან სახელმწიფოს მართვა-გამგეობის ფორმის არსებას. საერთაშორისო ომმა და რევოლიუციებმა ბევრი ქვეყნის პოლიტიკური წყობილება ერთიანად გარდაქმნეს, ზოგში ცვლილება შეიტანეს. რამდენადაც შესაძლებელი იქნება, ჩვენს მოკლე მიმოხილვაში შევიტანთ ამ ქვეყნების გარდაქმნილ და შეცვლილ პოლიტიკურ სახეს.

აგრეთვე განსაკუთრებული ადგილი დაეთმობა მიმოხილვაში სრულიად ახლად წარმოშობილ სახელმწიფოებს, როგორიც უნდა იყოს მათი პოლიტიკური ორგანიზაცია.

საქართველოს სახელმწიფოებრივ წესწყობილებასა და კონსტიტუციაზე შევჩერდებით სულ ბოლოს.

მოკლედვე შევეხებით ამა თუ იმ ქვეყნის ადგილობრივ თვითმართველობასაც.

დავიწყოთ ინგლისიდან.

ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘ.

ინგლისი წარმოადგენს **კონსტიტუციონურ მონარქიას.** მეფეც არის და პარლამენტიც. ორივე ერთად კანონმდებლობს. ასეთი სახელმწიფოური წყობილება იქ დიდი ხანია დამკვიდრდა. კონსტიტუციური წყობილების დასაწყისია მე-18 საუკუნე, სახელდობ 1215 წ.

მეფე აღმასრულებელ ხელისუფლების თავია. იგი უპასუხისმგებლოა: მეფე ყოველთვის მართალიაო. უფლება აქვს მოიწვიოს, გადასდოს და დაითხოვოს თემთა პალატა. მისივე უფლებას შეადგენს ლორდთა პალატის მემკვიდრე წევრთა დანიშვნა. მას ეკუთვნის უფლება კანონის წინადადებისა, მისი უარყოფისა და დამტკიცებისა. ნიშნავს და ითხოვს მინისტრებს. აქვს ამნისტიის და შეწყალების უფლება. აცხადებს ომს, კრავს ზავს, სდებს ხელშეკრულობას. ბრძანებლობს სახელმწიფოს მთელ შეიარაღებულ ძალას.

ასეთია მეფის უფლებები. მაგრამ ფაქტიურად ის ძალიან შეზღუდულია. პარლამენტი და სამინისტრო ბატონობს. მეფე მეფობს, მაგრამ არ მმართავს.

ინგლისი უფლებრივი სახელმწიფოა. მართალია, კონსტიტუციური მონარქიაა, მაგრამ მოქალაქის უფლება უფრო უზრუნველყოფილია, ვიდრე რამდენიმე დემოკრატიულ სახელმწიფოში. პიროვნება თავისუფალია. ბინა შეუვალია. თავისუფლია სარწმუნოება, რწმენა, ბეჭდვა, სიტყვა, კრება, კავშირი. ინგლისი თავისუფლების ქარტიის და Habeas Corpus“-ის ქვეყანაა.

პარლამენტი ორი პალატისაგან შესდგება: ქვედა—**თემთა პალატა** და ზედა, **ლორდთა პალატა.** ამას ემატება მეფე. ყველა კანონი უნდა მიიღოს ორივე პალატამ და დაამტკიცოს მეფემ.

თემთა პალატაში შვიდასამდე წევრი ითვლება. ირჩევა ხუთი წლით. პირდაპირი, ფარული საარჩევნო უფლებაა. არის ქონებრივი ცენზი: არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად საჭიროა მესაკუთრე იყოთ ან მცირე ფასიანი ბინა მაინც გქონდეთ ნაქირავები. ქალებს არ აქვთ საარჩევნო უფლება. ყოველი ამრჩეველი შეიძლება აირჩეს დეპუტატად. ვერ აირჩევა მხოლოდ სასულიერო, სამხედრო და ზოგიერთი თანამდებობის პირი. უპირატესი როლი ეკუთვნის ამ პალატას.

ლორდთა პალატაში ექვსასამდე წევრია, მაგრამ მისი შემადგენლობა შეიძლება გაიზარდოს. უმრავლესობა მეფისაგან დანიშნული მემკვიდრე წევრებია. ესენია არისტოკრატიის და მსხვილი მიწათმფლობელობის წარმომადგენლები—ლორდები. ესენი მემკვიდრეობითი უფლებით შედიან ზედა პალატაში (21 წლიდან), ლორდების გარდა იქ არიან სასულიერო წოდების უმაღლესი წარმომადგენლები და სასამართლოს პირები.

ლორდთა პალატაში აგზავნიან თავის წარმომადგენლებს ცალცალკე შოტლანდია (16) და ირლანდია (28)· მათი მაღალი წოდების წარმომადგენლები ირჩევიან 5 წლით თანახმად ადგილობრივი კანონებისა.

პალატების წევრები სარგებლობენ შეუვალობას. პასუხს არ აგებენ წარმოთქმული სიტყვისა და ხმის მიცემისათვის პალატაში. მათი დაჭერა და შეპყრობა პარლამენტის ნებადაურთველად შეუძლებელია.

ინგლისში უაღრესათ პარლამენტარული რეჟიმი ბატონობს. მას პარლამენტარულ მონარქიას უწოდებენ. მინისტრებს მეფე ნიშნავს ფორმალურად. მაგრამ ფაქტიურად ის თავის არჩევანში თავისუფალი როდია. ის იძულებულია პირველი მინისტრი—პრემიერი აიყვანოს პარლამენტის (უფრო კი თემთა პალატის) უმრავლესობისაგან. **მინისტრები პასუხისმგებელნი არიან პარლამენტის წინაშე.** ეს არის პოლიტიკური პასუხისმგებლობა. ეს ნიშნავს, სამინისტრო გადადგება, თუ პალატამ უნდობლობა გამოუცხადა.

მინისტრებს ასამართლებს ლორდთა პალატა, ბრალს სდებს თემთა პალატა. ეს არის იურიდიული პასუხისმგებლობა.

ინგლისს დაწერილი კონსტიტუცია, შედგენილი კრებული ძირითად სახელმწიფოებრივ კანონებისა, არა აქვს. ეს ქვეყანა იძლევა იშვიათ მაგალითს დაუწერელი კანონპროექტისას.

იქ საკონსტიტუციო კანონი და ჩვეულებრივი, ერთმანეთისაგან არ განირჩევა წარმოშობის, შემუშავების და გამოქვეყნების პროცესით. რომელიმე საკონსტიტუციო კანონი ისე იცემა და ისე იცვლება, როგორც ჩვეულებრივი კანონი. იგი უნდა მიიღოს ორივე პალატამ და შემდეგ დაამტკიცოს მეფემ.

ინგლისის სასამართლო განთქმულია თავის დამოუკიდებლობით. ხშირათ სასამართლოს დადგენილებას კანონისოდენი ძალა ეძლევა.

ინგლისი დეცენტრალიზაციის ქვეყანაა. იგი იყოფა საგრაფოებად. თვითეული საგრაფო შესდგება მრავალი თემისაგან. თემს განაგებს სათემო ყრილობა და სათემო საბჭო. ადგილობრივ თვითმართველობას საზოგადოდ დიდი უფლებები აქვს. ის თავის საქმეებში დამოუკიდებელია. სახელმწიფო ხელისუფლების მეთაურეობრივ, რა თქმა უნდა, არსებობს. თვითმართველობა ემორჩილება სასამართლოს განაჩენს. ცენტრალური და ადგილობრივი გაერთიანებული და სავერძნელო მიზანშეწონილობით ახორციელებენ შემოქმედებითი პროცესს და კანონიერებას.

ინგლისი კოლონიალური ქვეყანაა. დიდი ბრიტანეთის იმპერია სავრცით და მცხოვრებლებით პირველი მთელს ქვეყანაზე.

ირლანდია საუკუნეობით იბრძვის თავისუფლებისათვის ინგლისის წინააღმდეგ. მიუხედავად იმისა, რომ მას რაოდენ ავტონომიური უფლებანი მიეცათ, იგი განაგრძობს ბრძოლას დამოუკიდებლობისათვის.

ინგლისის დამოკიდებულება საერთოდ დამორჩილებულ მცირე ერებთან ერთი უცნაური ფურცლებთაგანი ინგლისის ისტორიაში.

ზოგიერთ კოლონია დღეს უფლებრივად თითქმის დამოუკიდებელ დემოკრატიულ ქვეყანას წარმოადგენს, მაგ. კანადა, ავსტრალია, ახალი ზელანდია. ფაქტიურად კავშირი მეტროპოლიასთან კიდევ მტკიცეა. მრავალი კოლონია პოლიტიკურად კიდევ ცუდ პირობებში იმყოფება. ყველამ იბრძვიან ავტონომიისათვის და დამოუკიდებლობისათვის, სამასი მილიონიანი ინდოეთი გმინავს მონობის უღელქვეშ.

ინგლისს გაუძნელდება მმართოს ეს უშველებელი იმპერია ერთ ადგილიდან. დღეს იგი მაგრად სდგას, მაგრამ მოსალოდნელია დიდი გარდატეხა მის ცხოვრებაში. ინგლისში შეიძლება იქმნას იმპერიის ფედერაციად გადაქცევა.

პოლიტიკური ცხოვრება მეტად განვითარებულია. სამი დიდი პოლიტიკური ძალა მოქმედებს: კონსერვატორები, ლიბერალები და მუშები. არის მათშორის ნაკლები ჯგუფები და სხვადასხვაობა.

ინგლისი კაპიტალიზმის კლასიკური გამოხატულებაა. მაგრამ ის აგრეთვე კლასიკური ქვეყანაა ტრედიუნიონიზმის მუშათა პროფესიული კავშირებისა.

6 საქართვ.

(შემდეგი იქნება)

მელიც გაგზავნილი იყო მთავრობის ...რ საქართველოსთვის ყუბანში დამზადებულ ხორბლის საკითხის გამოსარკვევად. ვაჩეიშვილმა ს. დ. ს. თანამშრომელთან საუბრის დროს განაცხადა, რომ მან შესძლო დადებით შედეგების მიღწევა, და ნაყიდი ხორბლის ნაწილი, რომელიც იქ იყო დამზადებული, უკვე მოვიდა ფოთში და ნაწილი კი გზაშია. გენ. ვრანგელის ჯარმა უკანასკნელ დღეებში დიდძალი ხორბალი ჩაიგდო ხელში. ეს ხორბალი დამზადებული იყო ცენტრალურ რუსეთში გასაგზავნათ. მელიტოპოლში ვრანგელის ჯარმა ხელთ იგდო $4^1/_2$ მილ. ფუთი ხორბალი ...ეშეკის აღების დროს კი ნახევარ მილიონ ფუთზე მეტი. სხვათა შორის, ...იშვილი იუწყება, რომ ყირიმში ამჟამად იმყოფება ევროპის თითქმის ყველა სახელმწიფოს მისია, იმყოფება აგრეთვე პოლონეთის, უკრაინის, ლიტვის, ესტონეთისა და ფინეთის მისიები. ყირიმის ნავსადგურებში დიდი ტრანსპორტი მოდის იარაღებითა და ტანისამოსით. ამჟამად სამოქალაქო მართველობის სათავეში სდგას. ა. ვ. კრივოშეინი, რომელსაც გენ. ვრანგელმა მინისტრთა საბჭოს შედგენა დაავალა. ამჟამად მოლაპარაკებაა საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან საბჭოს მოწესრიგების შესახებ.

დეპეშები

(ქართველთა დეპეშათა სააგენტო)

6 ივლისი.

გერმანული ცნობები:

გერმანია და რუსეთი.

ბერლინის შრომის ფედერაციამ მიიღო რუსეთის წინადადება რუსეთში კომისიის გაგზავნის შესახებ რუსეთ-გერმანიის სავაჭრო დამოკიდებულებისა და გერმანიის კვალიფიციურ მუშათა რუსეთში გადასახლების გამოსარკვევათ. კომისიის ხარჯებს თავის თავზე ღებულობს ბერლინის მუშათა კავშირები. ფიქრობენ, რომ ეს კომისია რუსეთში რამდენიმე თვე დაჰყოფს. უკიდურესები ფიქრობენ გამორკვევა აღმოაჩენს ზომიერ ფასებში სურსათისა და ნედლი მასალის დიდ საწყობებს გერმანიისათვის. ზომიერი ელემენტები ამ წინადადებას ახლაც გულცივათ უყურებენ.

ეკონომიური საკითხები

პრესა ერთხმად იწონებს ეკონომიური საკითხების შესახებ გერმანიის ექსპერტების მოხსენებას, რომელიც ანტანტას გადაეცა. მოხსენებაში აღნიშნულია, რომ გერმანიის სიმდიდრის გადაფასება შირად ხდება. ომამდე ის შეადგენდა 220,000 მილ. მანეთს მას შემდეგ ძლიერ შემცირდა ახალშენებისა დასაზღვარ გარეთელ წარმოებათა დაკარგვის გამო, ომის გამო ოლქების ჩამოცილებისა და სხვა მიზეზთა წყალობით. ხელშეკრულების თანახმად გადასახადის გადახდა შესაძლებელია მხოლოდ საქონლის ექსპორტის საშუალებით მაგრამ მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, რომ 1913 წლიდან გერმანიის მრეწველობამ დაკარგა რკინის მომარაგების 3/4 და ნახშირის მომარაგების 57 პროც. გერმანიის ტრანსპორტი დაშლილია, სავაჭრო ფლოტი კი სრულიად დაკარგულია, ომის განმავლობაში ვაჭრობამ დაკარგა თავისი მნიშვნელობა. გერმანიის სიმდიდრე შეიძლება ეხლა უდრიდეს სულ ბევრი 90,000 მილ. ადვილი შესაძლებელია, რომ გერმანიამ შესძლოს მომავალში გადაიხადოს 35—40 ათას მილიონამდე ყოველ წლივ, მაგრამ მან უნდა იყიდოს საზღვარ-გარეთ სურსათი და ნედლი მასალა ღირებული 80,000 მილ. ასე, რომ გერმანიის სავაჭრო ბალანსში პასივი აღემატება აქტივს. გერმანიის ქვეშევრდომნი იხდიან ეხლა 15,250 მილიონ პირდაპირ გადასახადს, 13,200 მილიონ არა პირდაპირ გადასახადს, ამას თუ მიუმატებთ 2500 მილ. ვალს, მივიღებთ 30,950 მილიონს წინააღმდეგ 1913 წლის 4438 მილ. იმპერიის თავის საკუთარ მასალისათვის სჭირდება. 23,600 მილ. და ცალკე სახელმწიფოები კი 6,500 მილიონი.

უმუშევრობის წინააღმდეგ.

დიდი უმუშევრობის გამო, რომელიც გამოწვეულია მრეწველობის დაცემის გამო, ფედერაციამ გადასწყვიტა სამშაბათს მოაწყოს ბერლინის მუშების დიდი დემონსტრაცია მთავრობისა და მოსამსახურეთა ყურადღების მისაქცევათ, რათა მიიღონ ზომები მათი მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ და ხელი შეუშალონ ფაბრიკების დახურვას. ფედერაცია წინადადებას იძლევა შემოკლოს ეხლანდელი 8 საათის სამუშაო დღე, აკრძალონ ზედმეტი მუშაობა და სხვა ზომები, რათა ამგვარათ უმუშევრებს საქმე მიეცეთ.

ფრანგული ცნობები.

ბრიუსელის კონფერენცია.

ბრიუსელის კონფერენციაზე მოხდა სრული შეთანხმება გერმანიის კონტრიბუციის განაწილების შესახებ. აღინიშნა სპის კონფერენციის პროგრამა. პირველ რიგში გერმანიასთან ერთად განიხილავენ საკითხს განიარაღების, ზარალის ანაზღაურებისა და დამნაშავეთა გაცემის შესახებ. შემდეგ განიხილავენ საკითხებს ახალშენებზე მოკავშირეთათვის მანდატების მიცემის, ოსმალეთის და კონტრიბუციის განაწილების შესახებ.

მუსტაფა ქემილის წინააღმდეგ.

მუსტაფა ქემალის წინააღმდეგ სამხედრო მოქმედება სასურველად ვითარდება. ბერძნებმა მარმარილოს ზღვაზე პანდერმუ დაიკავეს.

სპას კონფერენცია.

სპაში კონფერენციაზე გერმანიის მთავრობას დაუსვამენ საკითხს, თუ რით ხელმძღვანელობდა იგი, რომ მან 3 ნოტაზე, რომელიც მას ბულონის კონფერენციის შემდეგ გაეგზავნა, დღემდე პასუხი არ გასცა.

პოლონეთის ფრონტზე.

პოლონეთის ჯარმა დაასრულა რა უკრაინაში თავისი სტრატეგიული მანევრი ფრონტის სხვადასხვა სექტორში, კონტრ-შეტევაზე გადავიდა.

ახალი ამბები

დღეს, საღამოს 6 ს. დანიშნულია საქ. ს. დ. მ. პ. თფილისის კომიტეტის სხდომა.

◆ **ბათომის გადმოცემის ამბით** დამფუძნებელ კრების პრეზიდიუმს და მთავრობის თავმჯდომარეს მრავალი მისალოცი დეპეშა მოსდის საქართველოს ყველა კუთხიდან. დამფ. კრების პრეზიდიუმმა სხვათა შორის შემდეგი დეპეშა მიიღო ახალციხიდან: 1) გოდერძის ფრონტზე მდგომი მესხეთ-ჯავახეთის სახალხო გვარდია აღტაცებული ეგებება ქალაქ ბათომისა და მისი ოლქის ჩვენი რესპუბლიკის საზღვრებში შემოსვლის ამბავს. ფიცსა ვსდებთ, რომ ვიბრძოლებთ საბოლოო გამარჯვებამდის. საველე შტაბი. II. „გავიგეთ რა სანატრელ ქ. ბათომის და მისი ოლქის გადმოცემა, გულწრფელ სიხარულით ვეგებებით ამ დიად დღესასწაულს. ჩვენი სიხარული გავუზიაროთ ყველა ქართველ მუსულმანებს, რომელნიც ჩვენთან ერთად აღფრთოვანებით გამოსთქვამენ სიხარულსა და სიყვარულს საქართველოს მთავრობისადმი. გაუმარჯოს შეურყეველ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას! გაუმარჯოს ბრძნულ მთავრობას!“ დამფუძნებელ კრების წევრი ოსმან მიქელაძე.

◆ **გენერალ-გუბერნატორის გამგზავრება ბათომში.** 6 ივლისს, დილის 9 საათზე 30 წ. ბათომს საჩქარო მატარებლით წავიდნენ დამფუძნებელი კრების წევრები და ბათომისა და მისი ოლქის გენერალ-გუბერნატორი ბ. ჩხიკვიშვილი.

◆ **კინტრიშის ხიდის ამფეთქებელთა შეპყრობა.** გაგრიდან დეპეშით იუწყებიან, რომ იქ დაუჭერიათ კინტრიშის ხიდის აფეთქების მონაწილენი გერ. ჯიბლაძე და აკ. სურგულაძე, რომელთაც ბრალდებათ აგრეთვე ყუბანის ოლქში სხვადასხვა საბუთების გაზიდვა.

◆ **ყაჩაღების დახოცვა.** ზუგდიდიდან იტყობინებიან, რომ იქ მოუკლავთ ცნობილი ყაჩაღები სილ. გერსამია, ალმ. აბრამია და რაჟ. ყურაშვილი.

◆ **რკინის გზის მილიციის შტატები.** შინაგან საქმეთა სამინისტრომ შეადგინა სახ. კონტროლისთვის წარსადგენათ რესპუბლიკის რკინის გზათა მილიციის შტატი და ხარჯთ-აღრიცხვა 1920/21 წ. ხარჯთ-აღრიცხვაში შეტანილია სხვათა შორის პირველათ ბათომ-ნატანების და ხეთა-ზუგდიდის რკინის გზის უბნის მილიციის შტატი.

◆ **სომეხთა ობლების გადაგზავნა სომხეთში.** შინაგან საქმეთა სამინისტრომ ნება დართო საქართველოს რკინის გზებზე უფასოთ გაატარონ სომხეთში 600 სომეხი ობოლი ბავშვი.

◆ **მიწის ძვრა გორში.** სამთო-მადნო სამმართველოს მიერ მიღებულ ცნობების თანახმად გორში 28 ივნ. 18 საათზე და 29 ივნ. 8 საათ. შენიშნულია მიწის ძვრა, რომელიც ჩრდილოეთიდან სამხრეთით ყოფილა მიმართული.

◆ **სესხი თფილისის თვითმართველობას.** 29 ივლისს მთავრობამ დაადგინა თფილისის თვითმართველობას სესხის სახით მისცეს 30 მილიონი მანეთი, სესხის პირობებისა და სათანადო დეკრეტის შემუშავება შინაგან საქ. სამინისტროს მიენდო.

◆ **სურათების გამოფენა.** (რუსთაველის პროსპექტი № 13) გრძელდება კვირამდე (11 ივლისი) 7 საათამდე,

◆ **ისტორიულ ნაშთების დაცვა.** მთავრობის დადგენილებით შესდგა კომისია, რომელმაც უნდა შეიმუშაოს ზომები რესპუბლიკაში ეკლესია-მონასტრების თუ კერძო პირთა განკარგულებაში არსებულ ძვირფას არქეოლოგიურ ქონების დასაცავათ. კომისიაში შედიან იუსტიციის, შინაგან საქმეთა სამინისტროების და ადგილობრივ საეკლესიო ყრილობის წარმომადგენლები.

◆ **მთავრობამ ნება დართო** შოფერების პირველ ამხანაგობას თფილისსა და კავკავს შორის ავტომობილებით მიმოსვლის მოწყობისა.

◆ **ამხ. ნ. რამიშვილის მოხსენება.** ხუთშაბათს, 8 ივლისს, საღ. 6 საათ. ვერის მუშათა კლუბის დარბაზში, დანიშნულია მეოთხე რაიონის პარტიის წევრთა საზოგადო კრება. კრებაზე განხილულ იქნება შემდეგი კითხვები: 1) მოხსენება პარტიული ყრილობისა, მომხსენებლათ მოწვეულია ამხ. ნ. რამიშვილი. 2) ბოლშევიკების მუშაობა, 3) მიმდინარე კითხვები. პარტიის ყველა წევრთა დასწრება აუცილებელია.

◆ **ცენტრალური მომრიგებელი კამერა.** 26 ივნისს მიღებულ პროექტის თანახმად თფილისის მომრიგებელი კამერა წარმოადგენს სასამართლო-მომრიგებელ დაწესებულებას, რომელსაც ევალება მოსამსახურეთა და დამქირავებელთა შორის დამოკიდებულების შრომის ნიადაგზე გამოწვეულ დავის გამორკვევა და გადაჭრა. კამერა მოეწყობა პარიტეტულ საფუძვლებზე. კამერის მოქმედება გავრცელდება თფილისსა და მის გუბერნიაზე. კამერის გადაწყვეტილება არ გასაჩივრდება. საკასაციო ინსტანციას წარმოადგენს 3 წევრისაგან შემდგარი კოლეგია; 2 წევრს ამოირჩევს საერთო კრება და თავმჯდომარეს შრომის მინისტრი დანიშნავს.

◆ **სამოსწავლო საქმე.** თფილისის ქალაქის თვითმართველობა საყოველთაოდ აცხადებს, რომ, მთავრობის დაბალ სასწავლებლებში კურს დასრულებულნი გამოუცდელად მიიღებიან უმაღლეს დაწყებითსა და გიმნაზიის პირველ კლასებში.

◆ **საქართველოში არსებული სომხეთის წითელი ჯვარი.** საქართველოში არსებული სომხეთის წითელი ჯვრის დროებითი კომიტეტი მუდმივ კომიტეტათ გადაკეთდა. საზოგადოების საერთო კრებაზე აირჩიეს კომიტეტი და სარევიზიო კომისია.

კოლცნა ბათომს

მიხარიან! მიხარიან!—გული ხტის და გული მღერის!
კონცერტია შავი ზღვისა!—მეჯლისია ჩვენი ერის!
ცეკვა არის! ცეკვა არის! ისმის ვაშა! ისმის ტაში!
ალლუმი აქვს ჩვენსა ჯარსა! ჩვენი დროშა ფრინავს ცაში!
ნაღმოსანი „ტარიელი“-ც დასრიალებს ლაღად ზღვაში!
გამარჯვების გუგუნია მოგუგუნე ფოლად ხმაში!
მიხარიან! მიხარიან!—გული თრთის და გული ღელავს!—
საქართველოს მიწა-წყალსა ველარავინ გადმოსთელავს!
ამ იმედით და ამ რწმენით ქუდს ვიხდი და ცასა ვტყორცნი!
დაბრუნებულ ლამაზ ბათომს დღეს თფილისში გადავკოცნი!

2 ივლისი, 1920 წ.

გ. ქუჩიშვილი.

◆ **რკინის გზებზე ექსპლოატაციის** უფროსმა ბ-ნმა აბელაშვილმა განკარგულება გასცა, რათა ყველა უტორმოზო და დახურული ვაგონი, რომლებიც სახელოსნოებში მოაქვთ შესაკეთებლად, გამოუშვან ტორმოზებით და დანომრილი, რადგანაც სურამის გადასავალზე საბარგო მატარებლებს ესაჭიროება 75 პროც. ტორმოზიანი ვაგონებისა. ეს ვაგონები არ უნდა გადაეცეს პირდაპირ მიმოსვლისათვის სხვა გზებს.

◆ **გ. ქუჩიშვილის საღამო.** შაბათს, 10 ივლისს, მეორე ქართულ კლუბში (მიხ. ქ. № 129) გაიმართება გ. ქუჩიშვილის საღამო. დაწვრილებით შემდეგ.

კრებები

დღეს, საღამოს 6 სათაზე, ს. ს.-დემ. ქალთა ორგანიზაციების ბიურო იწვევს ბიუროს წევრთა არა-ჩვეულებრივ კრებას (მეორე რაიონის კოლექტივის ბინაზე).

პროვინციის ქრონიკა.

გორი. ხუთშაბათს, 8 ივლისს, დანიშნულია გორის სამაზრო ერობის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრება. გასარჩევია ფრიად საყურადღებო საკითხები. ამხანაგებს თხოვენ უთუოდ დაესწრონ საღამოს 5 საათზე, სამაზრო ერობის ბინაზე.

კომუნისტების „ჩრეზვიჩაიკაში“

(წერილი კავკავიდან).

კავკავშიაც არსებობს „ჩრეზვიჩაიკა“. მას ჰყავს აგენტები. სამი კაცი რომ დაინახოს აგენტმა ერთად მოლაპარაკე, მეოთხე თითონ მიემატება, რომ გაიგოს მათი აზრები. თუ ფერი გეცვალა ან ისე შეგატყო რამე, მშვიდობით შენი საქმე. ან ხშირად აგენტი შორიდან გადევნებს თვალ-ყურს და ცდილობს მოჰკრას ყური, თუ რაზე ლაპარაკობთ. აგენტს თუ შენი სახე ან ტანადობა არ მოეწონა, ან კომუნისტებზე წამოგცდა რამე, გაჩვენებენ „ჩრეზვიჩაიკის“ ბნელ ოთახებს. კავკავში არის მთავრობის ექვსი დაწესებულება, რომლებიც ატუსაღებენ ხალხს: 1) ქალაქის „ჩრეზვიჩაიკა“, 2) ოლქის „რევკომი“, 3) ქალაქის „რევკომი“, 4) ოსების „რევკომი“, 5) ინგუშების „რევკომი“ და 6) მეათე არმიის „ჩრეზვიჩაიკა“. ვინ სად აგზავნის დაპატიმრებულთ და ვინ სად. აქ ახლა ორი საპყრობილეა. ამ ბოლო დროს ორი ყაზარმა გადააკეთეს საპყრობილეთ. ოთხივე ტუსაღებით არის სავსე, ისე რომ იატაკზე დასაწოლიც კი არ არის. ტუსაღებით არის სავსე „ჩრეზვიჩაიკების“ ბნელი ოთახები და სარდაფებიც. 16 ივნისს „ჩრეზვიჩაიკის“ ოთახებში მოთავსებული იყო 136 ტუსაღი; იმათში 7—ქალი. „ჩრეზვიჩაიკის“ ტუსაღებს საჭმელის მაგივრად აძლევენ ფულს,—დღეში 84 მან. 30 კ., დანარჩენ ოთხ საპყრობილეში აძლევენ სულზე 1 გირ. პურსა და $^1/_8$ გირ. ხორცს კვირაში სამჯერ და ადუღებულ წყალს. ციხის პირობები ამ ბოლო დროს გაუმჯობესდა, წინათ კი უფრო ცუდი პირობები იყო. დატუსაღების დროს ოქმს არ ადგენენ. შემდეგ არავინ იცის, ვისგან არის დატუსაღებული, ან რა დააშავა და გაშვებითაც არავინ უშვებს. მე მოწმე ვარ ერთი შემთხვევის: ტუსაღი გამომძიებელმა გაანთავისუფლა; იუსტიციის კომისარმა იგი მაინც თოთხმეტი დღე გააჩერა.

ივნისის პირველ რიცხვებში წითელ-არმიელებმა დაიწყეს ქუჩების მოსახვევებში ხალხის გაჩერება; ითხოვდენ პირადობის მოწმობას; ვისაც არ აღმოაჩნდება,—ატუსაღებენ. არ გაძლევენ საშუალებას, რომ მოგიტანონ მოწმობა. თუ ვინმენ მოწმობა მოგიტანა, შემდეგ შუამდგომლობა უნდა აღიძრას რომ ჩრეზვიჩაიკაში შესაშვები პროპუსკი მოგცენ „ჩრეზვიჩაიკიდან“ გამოსასვლელათ კი ვერავითარი „პროპუსკი“ ვერ უშველით: ორი-სამი დღე ბნელი ოთახები უნდა იგემოთ. თუ შემთხვევით დარაჯმა გამოგიშვათ, მაშინ დარაჯს გაგზავნიან თქვენ ადგილზე.

ექვსივე დაწესებულება ყოველ დღე აგზავნიან კაცებს საპყრობილეებში სიის შესადგენად, თუ რამდენი კაცია საპყრობილეში, როდინდელი დაპატიმრებული და რატომ მეშვიდე. დაწესებულება აგზავნის კიდევ იუსტიციის კომისიაში. შვიდივე ახდენს გამოძიებას. პირველმა თუ გაგანთავისუფლათ;—მას შემდეგ მოყვება მეორე და როცა იქ არ დახვდებით, გასცემს ხელმეორედ ბრძანებას დატუსაღების შესახებ. მაგალითად, ხელ-მეორედ დაიჭირეს ყოფ. ქალაქის თავი მოსკოვენკო, სახაროვი, ეგრედ წოდებული „პოლტარა იგონა“ და სხვა.

წითელ-არმიელები ძალიან ცუდათ არიან ჩაცმულნი, დაფლეთილი ტანისამოსი აცვიათ, ცალფეხზედ კალოში, ცალზე წაღა, რიცანაც ხუთივე თითი გამოსჩანს წითელ-არმიელს ადამიანის ფერი არ აქვს. უმეტესობას მიწის ფერი ადევს. ყველა დაღლილები არიან და ამბობენ, ვინც უნდა მოვიდეს დ გაბატონდეს ჩვენზე, ოღონდ კი ნუ გვაომებენო. მათ აჩერებს „ჩრეზვიჩაიკის“ შიში წითელ-არმიელები ამბობენ: ჩვენ არც კომუნა გვიშველის და არც სხვაო. აქ მართლა კომუნა არისო—„для кого кому—на бери, а для кого нѣтъ“. ჩვენ მშიერები ვყოფილვართ და ვიქნებითო, ჩურჩულებენ არმიელები...

ილია პერევისელი.

უცხოეთი

სომხეთი.

დარალაგეზის ამბები. სომხეთის დეპეშათა სააგენტო იტყობინება: დარალაგეზიდან მოსულ ცნობების თანახმად თათრები-მომთაბარეები სტოვებენ ბარს და მთა-გორიან ალაგებში გადადიან; გზა და გზა არბევენ სომხებით დასახლებულ სოფლებს. სელიმის უღელტეხილი საშიშ მდგომარეობაშია. სოფ. აინაზურზე თავდასხმის დროს თათრებმა გარეკეს 700-მდე ცხვარი, სოფლებში ტარატუმში და სარუმში გარეკეს ცხენები. არის რამდენიმე დაჭრილი სომეხი გლეხი. ჯუმისის თათრებმა კავშირი დაიკავეს ჯევანშირის თათრებთან და ცდილობენ დარალაგეზი მოსწყვიტონ ზანგეზურს. ისინი ემუქრებიან ახლო-მდებარე სომხების სოფლებს; მცხოვრებნი იძულებულნი არიან დასტოვონ თავიანთი სამუშაოები და იარაღით დასდგენ სტრატეგიულ პოზიციებზე. მდგომარეობა ამ რაიონში გართულებულია.

ქურთების თავდასხმა. ბარდოსის რაიონში ქურთების ბრბოები თავს დაესხენ სომხების ჯარებს; ჯარებმა ისინი გარეკეს. შეტაკების დროს დახოცილ იქნა ბევრი ქურთი.

ლტოლვილები. ბევრი ლტოლვილები ოდიან ყარსში განჯიდან. ლტოლვილები ყარსის ახლო-მახლო მდებარე სოფლებში ესახლებიან. უკანასკნელ ხანებში ლტოლვილები მოდიან ჩრდილო კავკასიიდანაც.

მობილიზაცია. ყარსის რაიონში 32—45 წლიანების მობილიზაცია კარგათ ტარდება.

მიწის მუშაობა სარიყამიშში. ქ. სარიყამიშის მცხოვრებთა დიდი უმრავლესობა მინდვრის სამუშაოთაა გამოყვანილი. 17.000 მცხოვრებიდან ქალაქში რჩება მხოლოდ 3.500; დანარჩენები მინდვრებში მუშაობენ.

ყარსის რაიონში. მიწების დამუშავება უკვე დასრულებულია. მცხოვრებთ დაურიგდათ სათესლე ხორბალი, თვითეულს საერთოდ 20 გირვანქამდე შეხვდა. ალაგ-ალაგ თვითეულ სულმა 1 ნახ.—2 ფუთი სათესლე მიიღო. ოლქის აგრონომის აღამალიანის გადმოცემით მთელ ოლქში წელს მოსალოდნელია საუკეთესო მოსავალი.

წერილები ფრონტიდან

მთებში და უღელტეხილებში

(მგზავრის დღიურებიდან)

14 ივნისი. დღემ წყნარათ ჩაიარა. ყველა მხარეზე სიწყნარე იყო. დაღლილი გვარდიელები მთავარ კომიტეტის თავმჯდომარის მიერ მოტანილ საჩუქრებს ანაწილებდნენ. საჩუქრები პატარა პაკეტებში იყო გამზადებული და ბათომიდან გამოგზავნილი.

საჩუქრებში წერილებია. კითხულობენ გვარდიელები და პასუხსა სწერენ. წერილები უმთავრესად ახალგაზრდების მიერ არის დაწერილი, ახალგაზდური გატაცებით.

მებრძოლ ძმებს.

იბრძოლეთ ძმებო სამშობლოსათვის, ნუ შემოუშვებთ მუხანათ მტერსა, იცოდეთ ძმებო, რომ გავიზრდებით, თქვენსავით დავღვრით ჩვენს წვლილსა სისხლსა.

29 მაისი.

მოწაფე შალვა ლეჟავა.

„თქვენი გმირული ბრძოლა, ძვირფასო ძმებო, ჩვენ გვინერგავს გულში უკეთეს მომავალს, სამშობლოს გამარჯვებას. იბრძოლეთ ძმებო, თავისუფლებისათვის.“ სწერს მეორე ახალგაზრდა, რომლის გვარი ვერ გავარჩიეთ.

——

„გამარჯვება ძვირფასო ამხანაგებო! გისურვებთ წინსვლას და მტერზე ლახვრის ჩაცემას, რომ უკვდავი ყოფილიყოს თქვენი სახელი და მასთან ერთად ნორჩი სამშობლო აყვაყებულიყოს ისე როგორც მაისის ვარდი“ სწერდა მესამე —ივანე ალანია.

——

„სალამი ბიძია მეომარს, გთხოვ დაამარცხო ადერბეიჯანენი. ჩემო ბიძია, თქვენ თითონ კარგათ იცით, რო საქართველო განსაცდელშია, მარა იმედი მაქვს თქვენ გაიმარჯვებთ. თუ მიიღოთ ეგ პატარა საჩუქარი, გამაგებინეთ ბარათით.

ბათომის ქართული შკოლის მოწაფე ბაგრატ გაბუნია.“

1920 წ. 20 მაისი.

——

„სალამი საყვარელო შვილებო!

გისურვებთ გამარჯვებას და მშვიდობით დაბრუნებას თავიანთ დედმამასთან. მეც ორი შვილი დავკარგე უკანასკნელ ომების დროს, მაგრამ მაინც იმედს არ ვკარგავ. მოველი თქვენგან სამაგიეროს გაწევას. მოხუცებული ფილიპე თავართქილაძე.“

——

დღემ წერილების კითხვაში და სამაგიეროს წერაში გაიარა. პატარა საჩუქრებს და მოკითხვის ბარათებს თავისებური სიხარული შეაქვს გვარდიაში.

ფრონტი უცნაური ნერვებია ცხოვრებისა და უბრალო მოკითხვა-სალამსაც დიდი სიხარული შეუძლია.

და უსაზღვრო იყო სალამი ზურგიდან სასიხარულო ხალხის მოგონება.

ობოლი მგზავრი.

——

28 ივნისი ახალ ციხის ფრონ ზე.

28 ივნისი. მხიარულების დღეთ გადიცქა. ჯერ კიდევ 10 საათი არ იქნებოდა, რომ გენ. ვაშაკიძისაგან გავიგეთ ჩვენი ჯარის ბათომში შესვლა. ჩვენს სიხარულს საზღვარი არ აქვს, ვულოცავთ ერთმანეთს. ჯგუფ ჯგუფად მოიყარეს თავი ჯარის-კაცებმა და სიცილით ერთმანეთს ესალმებიან, ყველა თავისებურად აფასებს ამ მოვლენას...

დამფუძნებელ კრების წევრს მიქელაძეს ცნობა მოუვიდა, რომ შეეტყობინებინა აჭარლებისათვის ბათომის გადმოცემის ამბავი და მიეღო ზომები, რომ მშვიდობიანათ დამორჩილებოდნენ ჩვენს ჯარს. მანაც გადმოღმა მხარიდან შეადგინა მოწინავე პირთაგან დელეგაცია, რომელთაც სამი დღის განმავლობაში უნდა მოეტანათ უკანასკნელი პასუხი დელეგაციაში შედიოდნენ მოლები: ორი შანთაძენი, ერთი წულუკიძე და კახაძე. ჩავსვით დელეგაცია ჩვენს დიდს სანიტარულ ავტომობილში და ჯარის-კაცების თანხლებით ღამით გავექანეთ ურთხის უბნისკენ...

დავყურებთ მაღლიდან დაბურულ ხეივანს, მდინარე ქობლანი მიჩუხჩუხებს.—ავტომობილი მიჰქრის, აი შევედით კიდეც ურთხის უბანში, გაშლილ მინდორზედ მოსჩანს კარვები, ცეცხლი მე №.... ათასეულის ჯარის-კაცებისა. მთელი ოფიცრობა და ჯარის-კაცები შემოგვეგებენ, ყველას უნდა გაიგოს, თუ რაშია საქმე. მხედრობა აღფრთოვანებულია. დეპუტატი მიქელაძე უკანასკნელად არიგებს გასაგზავნ პირებს და ჩვენც ვულოცავთ მათ გზას.

ისინი წავიდნენ.

ამის შემდეგ ვეთხოვებით №.... ათასეულს, ისინიც „ურას“ ძახილით აცილებენ ავტომობილს...

პ. ლეხელი.

ნეკროლოგი.

საშას და ტარიელის ხსოვნას.

ქუჩებში ხალხი ჯგუფ-ჯგუფად იდგა. ლაპარაკობდენ საქართველოს მოსაზღვრე ჯარზე ვერაგული თავდასხმის შესახებ ადერბეიჯანის ჯარების მიერ.

გამოცხადდა სახალხო გვარდიის საერთო მობილიზაცია. ხონის სახალხო გვარდიის შტაბში ყოველი კუთხიდან თავს იყრიან გვარდიელები. 10 მაისს მათ მწყობრად და სიმღერით ჩამოიარეს ქალაქის ქუჩები, რის შემდეგ გაეშურნენ რკინის გზისაკენ, სადაც უნდა შეერთებოდენ საოლქო შტაბს.

ღამით მათ ეშელონს ელვის სისწრაფით მიაქანებდა ორთქლმავალი ფრონტისაკენ. ვაგონების რახარუხს უერთდებოდა გვარდიელების მხიარული სიმღერები. მათ შორის იყვნენ ახალგაზრდა მოხალისე გვარდიელები საშა იოსელიანი და ტარიელ ღაჭავა. მათი მხიარული სახე ნათლად გვიმტკიცებდა, რომ სწამდათ სამშობლო და იმის საკეთილდღეოთ სასახელოდ თავს გასწირავდნენ.

13 მაისს ადერბეიჯანთან ბრძოლის დროს მტრის უკან დახევით გახარებული და გათამამებული საშა და ტარიელი აღტაცებით გადარბოდენ მთიდან მთაზე. მაგრამ მტრის გამოსროლილმა ტყვიამ გაგმირა იმათი გული, შეაჩერა მათ ძარღვებში მხიარული მოძრაობა და სამუდამოთ დაადუნა იმათი ენა.

ამხანაგებო საშა და ტარიელ! თუმცა მუხანათმა მტერმა უდროვოდ გამოაცალა თქვენი თავი ჩვენ მწყობრს, მაგრამ იფქათ არ დაჯდომიათ მათ თქვენი უმანკო სისხლი და ერთი ათად ავინაზღაურეთ. ამხანაგებო! თქვენ წმინდათ და პირნათლად შეასრულეთ თქვენი მოვალეობა.

ჩვენ ჯერ მახვილი ხელში გვიპირავს, ჯერ კიდევ ვებრძვით მუხანათ მტერს. როცა დავბრუნდებით ფრონტიდან, მოვალთ თქვენს საფლავზე და გახარებთ მტრების დათრგუნვნს და საქართველოს გამარჯვებას! იძინეთ ტკბილი ძილით, ამხანაგებო! თქვენი სახელი აღმოუფხვრელი იქნება ჩვენს ხსოვნაში.

მშვიდობით!..

გვარდიელი **გრიშა შალამბერიძე.**

ბრძოლის ველი, მაისი—1920 წ.

რკინის გზელთა პროფეს. კავშირების კონფერენცია

2 ივლისის სხდომა.

თავმჯდომარეობს ვ. ცენტერაძე. სხდომამ შეიმუშავა რეგლამენტი; სხდომები იხსნება დილის 8 საათ. და იხურება დღის 1 საათ. შემდეგ დღის 6 საათ. ღამის 9 საათ. დღის წესრიგშია მოხსენებები ადგილებიდან.

ბათომის რაიონიდან ყ. ნინიძე. ახალი გამგეობა შესდგა ამ წლის 6 იანვრიდან. საქმეები ბევრი იყო და პოლიტიკური მდგომარეობაც ჩვენი სხვანაირია. რაიონში 200 მეტ მუშა-მოსამსახურეს არ ქონდა ბინა, ბევრი მათგანი ცხოვრობდა დახურულ ვაგონებში და ბევრიც თფილისის მატარებელს უცდიდა, რომ უკან გაბრუნებამდე ცარიელ ვაგონში დაწოლილიყო. ამ ნიადაგზე გავრცელდა ავათმყოფობაც. ავათმყოფობდენ მოსამსახურის ცოლშვილიც, ამგეობამ მიაქცია ამ გარემოებას ყურადღება და მოსამსახურეების ერთ ნაწილს უშოვნა ბინა. ნაწილი კი უბინაობის გამო დღესაც ვაგონებში ცხოვრობენ. ასეთ მოსამსახურეებს დღეს დაკავებული აქვთ 84 დახურული ვაგონი, ადვილი წარმოსადგენია იმათთვის, ვისაც ვაგონებში უცხოვრია, რას ნიშნავს იქ ცხოვრება და როგორი გაჭირებაა. მოსამსახურეებს არ გააჩნდათ შეშა და არც ნახშირი, საჟენი შეშა ფასობდა 30—35 ათასი მანეთი, ნახშირი 300—400 მან. ფუთი. მოსამსახურეებს არ შეეძლოთ მცირე ხელფასით შეეძინათ სათბობი მასალა. ადმინისტრაცია კი ყურსაც არ იბერტყავდა. გამგეობამ თავისი წარმომადგენელი გაგზავნა სამმართველოში და ცენტრალურ გამგეობაში და რამოდენიმე დღის სამყოფი მიცეს და შემდეგ კი მთელი ზამთარი უშეშოდ იყვნენ. ეს იმ დროს ხდებოდა, როცა ჩვენ ტყეში ვცხოვრობდით. სამასალო ნაწილის ადმინისტრაცია სუსტი გამოდგა ამ საქმეში. აღვძარით შუამდგომლობა, სადაც საჭირო იყო, სახაზინო ტყიდან უფასოდ შეშის გამოტანის უფლების მისაღებად. ნებართვა მგონი ამ დღეებში გაუგზავნია მიწად-მოქმედების სამინისტროს და საჭიროა იყოს უფასოდ. მოსამსახურეებს აძლევდნენ ჯამაგირებს ქართული ბონებით, რომელიც ბაზარზე ნაკლები ღირდა.

სასურსათო კომიტეტი ბათომს აკმაყოფილებს სურსათით. მხოლოდ ხაზზე ნატანებ-ჯუმათში დადის სასურსათო ვაგონი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს მოსამსახურეებს, ყველა ვერ არიგებს იმას, რასაც სხვა მოსამსახურეები ღებულობენ. საექიმო დახმარება მოისუსტებს. აფთიაქში წამალი არ იშოვება და კერძო საწყობებში გვიხდება წამლის ყიდვა. აღვძარით შუამდგომლობა ან გამოეგზავნათ წამალი, ან და კერძო აფთიაქში მოეწყოთ ჩვენთვის უფასოდ წამლის მიღება ფულის გადახდით რკ. გზის უწყებიდან. არ გვყავს კბილის ექიმი. ბათომში არ გვაქვს სკოლა, მოსამსახურეების ბავშვები სკოლის გარეთ არიან დარჩენილი. ჩვენ მოვითხოვთ რკ. გზის სამოსწავლო კომიტეტიდან მომავალ სექტემბრიდან გახსნას სკოლა პირველ დაწყებითი უმაღლესი სასწავლებელი. უწინდელი სკოლის ინვენტარი, რომელიც ბათუმის დაკარგვის გამო დაგვეღუპა რამდენიმე მილიონად ღირებული, მგონია ეხლა ჩვენ ხელში ჩავარდება. უწინ ტანისამოსები ეძლეოდათ მოსამსახურეებს და ან საფასური, წელს დაარიგეს 5—10 წყვილი. მოსამსახურეებს ჯამაგირი არ ყოფნით სიძვირის გამო და გამგეობის მეცადინეობით გაუდიდდათ დღიური $^1/_{40}\%$ მთელი ჯამაგირისა საერთოდ. გავხსენით იაფფასიანი სასადილო, საპარიკმახერო, სათერძო და ფეხსაცმელების სახელოსნო. გავხსენით იქ სამი სამკითხველო ბათომის რაიონში, შევიძინეთ წიგნები, ჟურნალ-გაზეთები. (2270 ც. წიგნი აკინძვით). კულტურულ სფეროში მეტი არაფერი გაგვიკეთებია და საჭიროა ამ კუთხის მუშებს მიექცეს ყურადღება.

სამტრედიიდან კიკაბიძე. გამგეობის მუშაობაში იყო სამი მომენტი: მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესობა მოსამსახურეებს, კულტურული მუშაობა და წევრების უფლებრივი მდგომარეობის განმტკიცება. სასურსათო საკითხის ძლიერ მოუწესრიგებელია; არის შემთხვევები, რომ გვაკლდება პურის ფქვილი და უპუროდ რჩებიან მოსამსახურეები მთელი კვირაობით.

ჩვენ ამ გარემოებას ყურადღება მივაქციეთ და რკ. გზ. სასურსათო კომიტეტს გამოვართვით ნებართვა სიმინდის გამოტანისა და შევძელით რამოდენიმე ვაგონი სიმინდის მოტანა, რომელიც მივაწოდეთ წევრებს 21 თუმნად, მაშინ, როცა კერძო ბაზარზე 500 მან. ღირდა. ეს საქმე კავშირის საქმე არ იყო, მაგრამ ჩვენ იძულებული გაგვხადა მდგომარეობამ, ასე მოვქცეულიყავით. მანუფაქტურის დარიგების დროს არ არის სისტემა. ზოგი რაიონები ბევრს ღებულობენ და ზოგი ნაკლებს. არ არის ერთნაირი თანასწორობა, რაც იწვევს უსიამოვნებას. დიდი უკმაყოფილება გამოიწვია შაქრის დარიგებამ, რადგანაც დღიურ მუშებს არ აძლევდენ და ლიანდაგის დარგის მუშები დღიურები არიან ↑ უშაქროდ რჩებიან.

კულტურული მუშაობა გამოიხატება წარმოდგენების გამართვაში, გვაქვს კლუბი. შევიძინეთ ორკესტრი და სხვა. გვაქვს ამ ჟამად კინემატოგრაფი. გვარდიელების სასარგებლოთ გავმართეთ წარმოდგენები. ლექციები წავაკითხეთ, ჩხენკელს, ლომთათიძეს, რამიშვილს დევდარიანს და წერეთელს. კლუბს ეჭირვება ინვენტარი და სკამები. კლუბის შინაგანი მოწყობილობისათვის საჭირო, 200,000 მან., რაც ცენტრმა უნდა იკისროს. წერა-კითხვის კურსების გახსნა განზრახული გვაქვს. სექციები და გამგეობა კრებებს ახდენდა სისტემატიურათ. ინდიფერენტიზმს ალაგი არ ჰქონია. სექციის გამგეობის წევრები უნდა იქნან განთავისუფლებული კრებების დროს. მემანქანეები მოითხოვენ ცალკე სექციის დაარსებას. მოსამსახურეებს 3,000 მანეთის დახმარება ნაკლებად შველის და საჭიროა, კიდევ აღიძრას დახმარების შესახებ საკითხი. სამოსწავლო კომიტეტმა პანსიონის დახურვის ქაღალდი გამოგვიგზავნა, რამაც უკმაყოფილება გამოიწვია მოსამსახურეებში. შეერთებულმა სექციის გამგეობამ გამოიტანა დადგენილება, რომ ამის უფლება კომიტეტს არ ჰქონდა, ეს დელეგატთა ყრილობის საქმე იყო კონფერენციაზე დაისვა კითხვა. მომხსენებელი მოითხოვს პანსიონის კითხვა დაისვას დღის წეს-რიგში.

ფოთის რაიონიდან სიხარულიძე. რაიონული კავშირის მუშაობა საერთოთ მოიკოჭლებს, რადგანაც საამისო ძალები არა გვყავს. კულტურული მუშაობა მოდუნებულია, რადგანაც ერთი მთავარი ხელმძღვანელი ე. ცხადაია, რომელიც ალოცხლებდა ამ საქმეს, გარდაიცვალა. ლექტორები არ გვყავს და არც ცენტრიდან გვიგზავნიან. საექიმო დახმარება ცუდათ არის მოწყობილი იმის გამო, რომ ექიმებს ხშირად გვიცვლიან.

უბინაობა საშინელ მდგომარეობაში გვაგდებს და ფოთის ისედაც ჭაობიან ადგილებში ქოხმახებში გვიხდება ცხოვრება. ამ უკანასკნელ დროს გადმოგვცეს ბარაკები და ლიანდაგის მუშებისათვის საცხოვრებლად ვაწყობთ. არ გვაქვს ბინა არც გამგეობისათვის და არც სამკითხველოსათვის. დაბალი ადმინისტრაცია კავშირის გარედ დარჩენის გამო შევიწროებულია მაღალი ადმინისტრაციისაგან და მათი დამცველი არავინ არის.

ქუთაისის რაიონიდან—**რევიშვილი.** ადმინისტრაციის გამოყოფას კავშირებიდან კავშირის მუშაობისათვის ზიანი არ მიუტანია. სექციების და გამგეობის მუშაობა შეთანხმებულია. სუსტობს ლიანდაგის სექცია. ტელეგრაფის წარმომადგენელი არჩევნების დროს დარჩა უწარმომადგენლოთ გამგეობაში, რაც დაუშვებელი იყო იმ მოსაზრებით, რომ თუმცა მცირე რიცხოვანია, მაგრამ მნიშვნელოვანი დარგია, შევიყვანეთ მათი წარმომადგენელი კულტურულ კომისიაში. ზოგიერთი ადმინისტრატორი ვერ არკვევს კავშირების და მის ფუნქციებს და მასთან დამოკიდებულებას, ამიტომ ადგილი აქვს ხშირად გაუგებრობას. სურსათის საკითხს მთავარ ყურადღებას ვაქცევთ. მანუფაქტურის და ტანისამოსის მიუღებლობა უსიამოვნებას იწვევს. არის ისეთი დარგი, რომელსაც უწინ ეძლეოდა და ეხლაც უნდა ეძლეოდეს, რადგანაც თვით წარმოებისათვისაც მეცილებელია. კულტურული საქმე კარგად მიდის: გვაქვს თეატრი, სადაც სისტემატიურად იდგმება წარმოდგენები დახელოვნებული რეჟისორ-სცენის მოყვარეების საშუალებით. სამკითხველოები ყველა დიდ სადგურებზე გვაქვს. გამოთქვამს უკმაყოფილებას ექიმის შესახებ, ექიმი ნაზაროვი სამართლიანად დათხოვნილ იქნა, მაგრამ მის ადგილზე ჩვენი წარმოდგენილი კანდიდატი არ დაამტკიცა ცენტრალურმა საექიმო-სანიტარო კომისიამ და სხვა დანიშნა, რის დანიშვნის წინააღმდეგი არიან. საჭიროა რაიონულ გამგეობას ექცეოდეს ყურადღება ასეთ შემთხვევებში. შეერთებულმა სექციების გამგეობების კრებამ საჭიროდ სცნო კონფერენციის წესრიგში შეტანილი ყოფილიყო საპენსიო საკითხი. მოითხოვს დღის წესრიგში შეტანილ იქნას.

შორაპნის რაიონიდან — **დეკანოიძე.** რაიონში მუშაობს სამი სექცია. მუშაობა რაიონში კარგადაა დაყენებული. კრებები სისტემატიურად დგება და ირჩევა პროფესიონალური ხასიათის კითხვები უმთავრესად. გამგეობის და სექციების მუშაობა შეხმატკბილებულია და არ ყოფილა ერთი შემთხვევაც კი, რაიმე კონფლიქტს ალაგი ჰქონოდეს. რაიონთან არსებობს კულტურული კომისია, სადაც მოწვეულია არა კავშირის წევრებიც. კომისიის მუშაობა დიადია. ვაშენებთ თეატრს ცენტრის დახმარებით, რომელიც მოკლე ხანში დასრულდება. დიდ დახმარებას გვიწევს ლიანდაგის უბნის უფროსი—დამბაროვი და საერთოდ ადმინისტრაციაც. გვაქვს ოთხი სამკითხველო და ერთი წიგნთსაცავი. ორკესტრი და მომღერალთა გუნდი შევადგინეთ. წარმოდგენებისათვის რეკვიზიტი მოვიწყეთ. მანუფაქტურა რაიონებ შორის არ ნაწილდება თანასწორად. მანუფაქტურა ერთი არშინი არ დარიგებულა იმ დროს, როცა თფილისში კარგა ხანია დაარიგეს. პურის ფქვილს თავის დროზე ვერ ვღებულობთ, რის გამო ექვსი თვის განმავლობაში, ერთი თვის დაგვაკლდა. რკ. გზის სამოსწავლო კომიტეტი ნაკლებ ყურადღებას გვაქცევს. ჩვენ აღვძრით შუამდგომლობა მაღალ დაწყებით სკოლის გასახსნელად, მაგრამ უარით გვიპასუხეს. რაიონმა გადაწყვიტა თავის ხარჯით იქირაოს და გახსნას ენკენისთვიდან ერთი კლასი, რადგანაც ბავშვები სკოლის გარეთ დაგვრჩებიან. საერთოდ სამოსწავლო კომიტეტი და სასურსათო ნაკლებ ყურადღებას გვაქცევენ. ბინების შესახებ დიდი გაჭირვებაა. აქ არც კერძო ბინები იშოვება და საჭიროა ბარაკებს მაინც შეაკეთებდნენ, რომელიც აქ არის. უშეშობა ხომ აქაც იყო. წელს უნდა ადმინისტრაციამ იზრუნოს შეშისათვის.

(შემდეგი იქნება)

გალ. ხელიაძე.

რკინის გზაზე

ვაჭრობა რკინის გზის პურით.

2 ივლისს ნავთლუღის სადგურში ჩამოვიდა რკ. გზის ცენტრალური გამგეობის მთავარი სარევიზიო კომისიის წევრი ბ. შენგელია, აღმოაჩინა შემდეგი ბოროტ-მოქმედება:

ამავე სადგურის უფროსს ბ. ფანჯავიძეს და მის ძმის შვილს, რომელიც აქვე მსახურობს საქონლის სადგურში მეკარეთ, მუდმივათ ჰქონიათ აღებული ექვს ექვსი გირვანქა პურის და სხვა სანოვაგის ბარათები და იღებდენ 12 გირ. პურს ყოველ დღე. შეკითხვაზე, თუ რას უშვრებოდენ ამდენ პურს ორი კაცი ე. ი. ბიძა-ძმისშვილი, რადგან არც ერთს ამათგანს ადგილობრივათ არავინ ჰყავს და სადგურის უფროსს კი თავის ცოლშვილი მუდმივათ საზღვარ გარეთ ყავს (ბაქოში) მეკარე ფანჯავიძემ განაცხადა პირველათ, რომ, ნათესავებს ურიგებდით თფილისშიო, მაგრამ როცა მას კატეგორიულათ მოსთხოვეს სიმართლე ეთქვა, გამოტყდა, რომ ის ორის სულის სამყოფზე მეტს პურს ყიდდა. რა მდგომარეობაშია ამის შემდეგ გამოძიების მსვლელობა, ჩვენ არ ვიცით, ვიცით მხოლოდ, რომ თუ ასეთი მოვლენები სასტიკათ არ აილაგმა და იმ ხალხს, რომელიც ისედაც ნახევრათ მშიერ რკინის გზელებს ლუკმა პურს ხელიდან სტაცებს და სპეკულიანტებს უგდებს ხელში თავის ადგილი არ მიეჩინა და საქმე მიფუჩეჩდა, ჩვენს არსებობას სამუდამოთ ჯვარი უნდა დავუსვათ. **დამსწრე მუშა.**

ს. დ.-პარტიაში

თფილისი. 1 ივლისს შესდგა საქართველოს სოც.-დემ. მუშათა პარტიის მეორე რაიონის კოლექტივის, ამავე რაიონში არსებულ მცირე კოლექტ. და სახალხო გვარდიის შტაბის წევრების გაერთიანებული კრება.

კრებამ მოისმინა მოხსენება ცენტრიდან, მიიღო მხედველობაში და გადავიდა შემდეგ კითხვაზე.

სარევიზიო ჯგუფის დაარსების შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. თ. ვასაძე. მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი, რის შემდეგ კრებამ დაადგინა, ვინაიდან ჩვენს რესპუბლიკას მუდამ ესაჭიროებოდა და ამ ჟამადაც ესაჭიროება ენერგიული და ნდობით აღჭურვილი პირები, რომლებიც ყოველგვარ დახმარებას უნდა უწევდენ რესპუბლიკისათვის თავდადებულ მებრძოლ ჯარსა და გვარდიის თავდაცვის საქმეში,—დაუყონებლივ შესდგეს—სარევიზიო ჯგუფები, რომლებიც საჭიროების დროს დახმარებას გაუწევენ სახელმწიფოს, თავდაცვისა და მისი განმტკიცების საქმეში. ამ საქმის ტეხნიკურად მოგვარება დაევალა რაიონში არსებულ ქვეკოლექტივებს და სახ. გვარდიის შტაბებს.

კრება ავალებს კოლექტივის პრეზიდიუმს სასწრაფოდ მოიწვიოს გამოცდილი მდივანი, რომელიც შესძლებს კოლექტ. საქმეების რიგიანათ გაძღოლას. ვინაიდან კოლექტივის კასას ამ ჟამად ნაკლები შემოსავალი აქვს, კრება ხელმეორედ სთხოვს იმ ამხანაგებს და მცირე კოლექტივებს, რომლებსაც ნისიათ აქვს წაღებული მარკები,—გაუსწორონ ანგარიშები კოლექტივის კასას.

კრება ცენტრალურ კომიტეტის დადგენილებას, გადიდებულ იქნას საწევრო გადასახადი 10 მანეთამდე—იზიარებს. საზოგადო კრების მოწვევას, სადაც საგანგებოთ მოწვეულმა მომხსენებელმა უნდა გააკეთოს მოხსენება მომენტის შესახებ, კრება ანდობს კოლექტივის პრეზიდიუმს.

თედ. ხუხუნაიშვილი.

მუშათა შორის

(თფილისის ცენტრალურ მომრიგებელ კამერის წევრების პროექტი).

1) თფილისის ცენტრალური მომრიგებელი კამერა არის მომრიგებელი სამოსამართლო დაწესებულება და არჩევს იმ დავას, რომელიც ასტყდება მუშებს და მწარმოებლებს შორის, შრომის პირობების ნიადაგზე.

2) კამერა შესდგება პარიტეტულ ნიადაგზე, ესე იგი, ორივე მხრიდან თანასწორი რიცხვი არის წარმომადგენლებისა. თავმჯდომარე და მისი ამხანაგი ნეიტრალური პირი უნდა იყოს. ნეიტრალური თავმჯდომარე და მისი ამხანაგი ორივე მხრის შეთანხმებით ირჩევიან ერთი წლის ვადით. თუ შეთანხმებას ორივე მხარე ვერ მიაღწევს, მაშინ თავმჯდომარეს და მის ამხანაგს ირჩევს თფილისის ქალაქის საბჭო.

3) მომრიგებელი კამერის მოქმედება ვრცელდება თფილისში და ყოფილ თფილისის გუბერნიაში, თუ ადგილობრივათ არ არის კამერა.

4) მომრიგებელი კამერა ორ განყოფილებისაგან შესდგება: საზოგადო და საგანგებო საკრებულოებისაგან. საგანგებო საკრებულოში ირჩევა საქმეები სახელმწიფო დაწესებულებათა, ქალაქის და ერობების თვითმართველობისა. მწარმოებლების წევრების მაგიერათ საგანგებო საკრებულოში მონაწილეობას იღებენ საქმის გარჩევაში მთავრობის და თვითმართველობის წარმომადგენლები, რომლებიც აღჭურვილი არიან კამერის წევრებს უფლებებით.

5) საზოგადო საკრებულო შესდგება ორი ინსტანციისაგან, რომლებიც სამ სამი წევრისაგან შესდგება; სახელდობრ. ნეიტრალური თავმჯდომარე ან მისი ამხანაგი და ორ ორი წევრი მხარეებიდან. ამასთანავე ის მოსამართლენი, რომლებიც პირველ ინსტანციაში იღებენ მონაწილეობას საქმის გარჩევაში, ვერ მიიღებენ მონაწილეობას მცირე ინსტანციაში. კამერის წევრები, რომლებიც არ იღებენ მონაწილეობას საქმის გარჩევაში, ესწრებიან სხდომებს, როგორც მსმენელნი და იჭერენ ადგილს მოსამართლეების უკან.

6) კავშირის სხდომებს თავმჯდომარეობს ნეიტრალური თავმჯდომარე ან მისი ამხანაგი, თავმჯდომარეს ეძლევა საერთო სასამართლო დაწესებულებათა თავმჯდომარის უფლებები.

7) მომრიგებელ სასამართლოს დადგენილებას განსაჩივრება არ შეიძლება, თუ იგი სამედიატორო წესით არის გარჩეული.

8) კამერას აქვს თავისი განსაკუთრებული კანცელიარია. კანცელიარიის შტატებს განსაზღვრავს კამერის საზოგადო კრება. კამერაში მუშაობას აწესრიგებს თავმჯდომარე, რომელსაც მინიჭებული აქვს უფლება საჭიროებისამებრ მოიწვიოს კამერის წევრთა კრება.

კამერის საზოგადო კრება კანონიერათ ითვლება, თუ ექვსი წევრი დაესწრო,—თითო მხრიდან სამ სამი. სხდომების დღეს ნიშნავს თვით საზოგადო კრება.

9) მდივანს და კანცელიარიის მოსამსახურეს იღებს სამსახურში თავმჯდომარე, რომლებსაც ამტკიცებენ საზოგადო კრებაზე. თავმჯდომარეს უფლება აქვს გადააყენოს როგორც მდივანი, აგრეთვე სხვა მოსამსახურე, მაგრამ ეს უნდა აცნობოს საზოგადო კრებას, რომელსაც შეუძლიან ან დაადასტუროს თავმჯდომარის განკარგულება, ან უარყოს იგი.

10) კამერის წევრი, რომელიც არ გამოცხადდება სხდომაზე, დაიგვიანებს, ან უდროოთ დასტოვებს სხდომას, პირველათ მიიღებს შენიშვნას, მეორეთ—გაკიცხვას და ადგილობრივ გაზეთშიაც გამოცხადდება ეს, თუ მესამეთ არ გამოცხადდება, ეს ეცნობება მექარხნეთა საბჭოს და პროფესიონალურ კავშირების სეკრეტარიატს წინადადებით, რომ მოადგილე გამოგზავნოს.

11) საკასაციო ინსტანცია კამერისა არის სამ წევრიანი კოლეგია, რომლის ორ წევრსაც ირჩევს საზოგადო კრება. თავმჯდომარეს ნიშნავს თვით შრომის მინისტრი. საკასაციო ინსტანციაში საქმეები ირჩევა მხარეების გამოძიებით.

12) კამერის საქმეების რწმუნებულათ შეუძლიან ყოფნა საქართველოს ყველა მოქალაქეთ, თუ მათი სამოქალაქო უფლებები არ არის კანონით შეზღუდული. კამერის წევრებს შეუძლიათ ის საქმეები აწარმოვონ, რომელიც მათ ეხებათ ან და საქმეები იმ წარმოებებისა და კავშირების, რომელთა წარმომადგენლებიც არიან. კამერის წევრები არ მიიღებენ მონაწილეობას იმ საქმეების გარჩევაში, რომლის გადაწყვეტითაც პირადათ არიან დაინტერესებულნი.

პროვინცია

სოფ. რუისი (გორის მაზრა). დიდს და არა-ჩვეულებრივ პირობებში უხდებათ საზოგადოთ ყველა თემებს მუშაობა. არსაიდან არავითარი წყარო არსებობისათვის არ მოიპოვება. ეს პირობები მრავალჯერ უარესი და აუტანელია მიწის ძვრისაგან დაზარალებულ თემებისთვის, ამასთანა გაჭირვებულ და ნგრევის პირობებში რუისის თემის ახალი გამგეობა, რომლის თავმჯდომარეთაც ითვლება ძველი თფილისის მუშა არჩ. არავაიშვილი, მიუხედავათ ენერგიული მუშაობისა, მაინც თვალსაჩინო ჯერ არაფერი გაკეთებულა. კულტურული მუშაობისათვის იხარჯება დიდი ნაწილი შრომისა, მაგრამ უფულოდ და ცარიელის ხელით, არსად არაფერი გაკეთებულა და არც აქ კეთდება. ეხლა თემებმა მიიღეს გორის სამაზრო ერობის გამგეობის ცნობა, რომ 30% იმ საერთო თანხიდან, რომელიც უნდა სამაზრო ერობამ მიიღოს მთავრობიდან, მიეცემათ თემების გამგეობებს, მაგრამ ეს ხომ წვეთია ზღვაში, რადგანაც ჯერ ტელეფონის საქმის მოწყობას ასი-ათასობით უნდა. შემდეგ დანგრეულია სუყველა რუისის თემის სოფლების შკოლების შენობები, მთელ თემში უმწეო მდგომარეობაში იმყოფება გზები და ხიდ-ბოგირები და ყველა ამ საქმეებს მილიონობით უნდა. თემი ცდილობს საიდანმე გამონახოს ეს წყაროები, მაგრამ თუ სახელმწიფო არ დაეხმარა თავისი ძლავრი ხელით, თემი უძლური იქნება გააკეთოს ეს მძიმე საქმე.

რუისის თემმაც, როგორც რესპუბლიკის სხვა ნაწილებმა, მაისში მოაწყვეს „ფრონტის დღე“. ამ მიზნისთვის არჩეულ იქნა ფრონტის კომიტეტი, რომლის ხელმძღვანელად არჩეულ იქნა ამ სოფლის მოძღვარი დ. სალარიძე, რომელმაც დიდი შრომა გასწია: ფეხით შემოიარა და აგროვებდა მცხოვრებთა შორის შემოწირულებებს, რისთვისაც თემის გამგეობა უცხადებს მთელ კომიტეტის შემადგენლობას გულწრფელ მადლობას. აქვე მოგყავს ანგარიშები შემოწირულებების: ჭირნახულების სახით მოგროვდა ქერი, სიმინდი და პური 15 ფუთამდის, რომელიც განაწილებულ იქნა გაჭირვებულ ჯარის კაცების ოჯახების შორის. ფულად შეგროვდა სულ 4,000 მან. 20 კ., კოოპერატივმა „ნუგეშმა“ შესწირა 2600 მან. პაპიროსი და სპიჩკა, რაც გადაეცა ფრონტის მთავარ კომიტეტს. გარდა ამისა, ხალხი დიდ მუყაითობას და თანაგრძნობას იჩენს და ეხმარება ჯარის კაცების ოჯახებს ყანების გათოხნით და სხვა საქმეების გაკეთებით, რისთვის თემის გამგეობა ხურვალე მადლობას უძღვნის მცხოვრებთ.

რუისის თემის თავმჯდომარის ამხ. **ი. მამაცაშვილი.**

ს. დიდი-ჯიხაიში. 27 ივნისს, მოხდა ადგილობრივ თემის საბჭოს კრება, რომელზედაც გაირჩა შემდეგი კითხვები: მოხსენებები ფრონტის და გორის დამხმარე კომისიებისა, სკოლების შენობების აგება, ავტომობილის ფულის განაწილება, სახალხო სახლი, სურსათის საკითხი, საფუთო და სხვა გადასახადების გადიდება ადგილობრივ ბაზარზე, გამგეობის კონსტრუქცია და მეეტლეების ნიხრი,

პირველ კითხვის შესახებ მოხსენებას აკეთებს ფრონტის დამხმარე კომისიის წევრი ლ. დარსაველიძე, რომლის მოხსენებიდან გამოირკვა, რომ „ფრონტის დღეს“ კომისიას შეუგროვებია ფულით და სხვადასხვა საგნების სახით 18,000 მანეთის ღირებული საქონელი, რომლიდანაც გადაეცა დანიშნულებისამებრ 17100 მ.; დარჩენილი კრებამ დაადგინა მოხმარდეს ადგილობრივათ გაჭირვებულ მეომართა ოჯახებს. გორის დამხმარე კომისიას შეუგროვებია 16,000 მ., რომელიც კომისიას გადაუცია დანიშნულებისამებრ.

ადგილობრივ გიმნაზიის შესახებ მოხსენებას აკეთებს გიმნაზიის დირექტორი ს. ცაგარეიშვილი: მან გააცნო კრებას, რომ მთავრობამ უკვე აღმოუჩინა გიმნაზიას 20.000 მანეთის დახმარება და თუ საქმე კარგათ იქნება დაყენებული, მომავალშიაც მიიღებს დახმარებას ბავშვების დასაფარავათ. საჭირო არის ამჟამად საკუთარ შენობაზე ზრუნვა. ამ მხრივ ზომები უკვე მიღებულია. სხვადასხვა სახის შეწირულებით მას დღემდე შეუგროვებია 200,000 მანეთამდე. ამ ფულით მომხსენებელს შესაძლებლად მიაჩნია საკუთარი ხის შენობის აგება. ამიტომ ის წინადადებას იძლევა შუამდგომლობა აღძრას თემმა განათლების სამინისტროს წინაშე, რათა მთავრობამ დაუთმოს, თუ უფასოდ არა, შეღავათიან ფასებში მაინც ხე-ტყის მასალა. კრებამ ეს წინადადება აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ მიიღო და მისი სისრულეში მოყვანა გამგეობას დაავალა.

ავტომობილის ფულის განაწილების შესახებ კრებამ მოისმინა მოხსენება, რომლის შინაარსი შემდეგში მდგომარეობდა: ავტომობილი ჯერ შეუძენია კერძო ამხანაგობას, შემდეგ ის შეისყიდა მთელმა საზოგადოებამ. მისი ლიკვიდაციის შემდეგ საზოგადოებას დარჩა 46,000 მან. ეს თანხა გარეშე საზოგადოებათა წილის გამოკლებით გადაეცა სახალხო სახლის ფონდს.

სურსათის შეძენის შესახებ მოხსენებას აკეთებს გამგეობის წევრი თ. კაპანაძე. მან აღნიშნა, რომ ქუთაისის სამაზრო ერობაში შეტანილი აქვს საზოგადოებას 400,000 მანეთამდე, მაგრამ სამწუხაროდ დღემდე ვერ ვეღირსეთ სიმინდის მიღებას. ამ დღეებში მივიღეთ ცნობა, რომ მოკლე ხანში მიიღებთ ხორბალსო. ადგილობრივათ ბაზარზე ფასების დასაწევათ მიღებულია შემდეგი ზომები: აკრძალულია სოფლიდან სიმინდის გატანა, ვისაც სიმინდი აქვს და არ ყიდის ირთმევა იძულებით. ამ ზომებმა ჯერ-ჯერობით ის შედეგი გამოიღო, რომ სიმინდის ფასი ადგილობრივ ბაზარზე 800 მანეთამდე ჩამოვიდა. კრებამ მოიწონა გამგეობის მიერ გადადგმული ნაბიჯები.

საფუთო და სხვადასხვა საგნებზე და საჭონელზე გადასახადი კრებამ გაადიდა 30 პროც. მეეტლეებისათვის ნიხრის გადასინჯვა კრებამ დაავალა გამგეობას. ამის შემდეგ კრებამ მოისმინა სახალხო სახლის სააშენებლო კომისიის მოხსენება, რომლიდანაც გამოირკვა, რომ კომისიას ჰქონია ამ დანიშნულებისათვის 60,000 მანეთამდე. კომისიასი მიზნათ ჰქონდა დასახული ამ თანხის 100,000 მანეთამდე გადიდება და შემდეგ იაფფასიანი შენობის დაწყება. მაგრამ კრებამ ეს აზრი არ მოიწონა და დაადგინა ჯერ კიდევ იქნას გადიდებული სახალხო სახლის ფონდი და როცა შესდგება საკმაო თანხა, მხოლოდ შემდეგ შეუდგეს აშენების საქმეს.

დასასრულ კრებამ მოისმინა ეროვნულ-დემოკრატ. ფრაქციის წინადადება თემის გამგეობის ახალი კონსტრუქციის შესახებ. მომხსენებელი ს. ცაგარეიშვილი იძლევა წინადადებას არჩეულ იქნას ჯამაგირით მხოლოდ თავმჯდომარე, რომელსაც უნდა ეყოლოს უჯამაგიროთ თანაშემწე. ამ მოსაზრებას ის ასაბუთებს ხარჯების ეკონომიით და მუშაობის გამარტივებით. კრების უმრავლესობამ ეს აზრი არ მოიწონა და დასტოვა ძველი სისტემა ახალ სათემო არჩევნებამდე. ხოლო გამგეობის წევრებს გაუდიდა ჯამაგირები ას-ასი თუმანით.

ნოდე.

ქ. ახალციხე. ხშირად მიხდებოდა მესხეთის სხვა და სხვა რაიონებში მუშაობა და გლეხებთან საუბარში არა ერთხელ მსმენია დროულ-ნაღვლიან მესხელისაგან შემდეგი სიტყვები: „ასეთი შიმშილი არც გვინახია და არც გვსმენიაო“. მართლაც, რამდენჯერმე დარბეულ-დაქანცულმა ხალხმა წელს დიდი შიმშილობა გამოიარა. მათი მდგომარეობა პირდაპირ აუწერელი იყო. ბევრ სამწუხარო ადგილებს ჰქონდა ადგილი და ან ვის არ უნახავს მესხ-ჯავახელის კარი-კარ სიარული მოწყალებისათვის. აი, ასეთი მდგომარეობა იყო იქ, სადაც შიმშილი გაეგონათ და არას დროს არ განეცადათ. ვინ არ იცის მესხეთი, მისი უკვდავების მღაღადებელი ბუნება და წარსული. სამოთხისებური კუთხე, რომელიც ამაყობდა თავისი ისტორიულ წარსულით და უხვ ბუნების სიმდიდრით, წელს-კი ასეთი ტანჯვა-ვაება განიცადა. დღეს მდგომარეობა იცვლება. რომელ სოფელშიაც მიხვიდეთ დიდი თუ პატარა, მიუხედავათ იმისა, რომ კუჭი მშიერი აქვს, იმედით აღვსილი შეჰყურებს მომავალს. ყველა გაიძახის, რომ ასეთი მოსავალი, როგორიც არის წელს, არავინ მოსწრობია.

თუ არ მივიღეთ მარტო დუზისის საზოგადოება მხედველობაში, სადაც წვიმებია და სიცხე, თავისი რასხვისაგან დაიფარა, მესხელებს არამც თუ თავისი სამყოფი, არამედ—ბევრი მეტიც მოუვა. ეხლა ბევრ ადგილას ჭირნახული პირშია და სადაცაა არის, შეუდგებიან მკას. სოფელ რუსთავში და ოყუმში უკვე დაიწყეს მუშაობა და რამდენიმე „კალო“ გალეწეს კიდეც. ასე რომ „შიმშილი“ სიკვდილის პირზეა, სულსა ღაფავს—რამდენიმე დღეც კიდევ და მესხეთი თავისუფლად ამოისუნთქავს.

საჭიროა მთავრობამ დროზე მიაქციოს ამა წლის მოსავალს სათანადო ყურადღება და ამით მოუსპოს სპეკულიანტებს ჭირნახულის ხელში ჩაგდების საშუალება. საზოგადოთა-კი მესხეთი მოითხოვს მთელი ერის ყურადღებას.

ნიკო მესხელი.

წერილი რედ. მიმართ

ბატონო რედაქტორო, იმედია დამიბეჭდავთ ამ პატარა შენიშვნას.

როგორც მოგეხსენებათ, საქართველოს ყველა დაბა-ქალაქებსა და სოფლებშიაც კი ხშირად სდგამენ ჩემს პიესას „ნომერი ოცდა ერთი ჯვარით“.

საწინააღმდეგო არა მაქვს-რა. მშრომელი ხალხისა და მის ცხოვრების საუკეთესო წუთების დასასურათებლად დავწერე ეს პიესა და თუ ხალხმაც შეიყვარა იგი, ამაზე მეტი ჯილდო რაღა იქნება მწერლისათვის! მხოლოდ ვსთხოვ სცენის მოყვარეებს მეტის ყურადღებით მოეკიდონ ხოლმე ამ პიესის დადგმას.

ამ თვის 27-ს შემთხვევით დავესწარი „მუშტაიდის“ კლუბში დასახელებულ პიესის წარმოდგენაზე და ძლივს ვიცანი!

უღრმესად ვმადლობ რა იქ დამსწრე დემოკრატიას მხურვალე და გულთბილ შეხვედრისათვის,—გადავწყვიტე პიესა იგი დავბეჭდო ცალკე წიგნად და მით საშუალება მივცე სცენის მოყვარეებს ითამაშონ ხოლმე იმ სახითა და იმ ზომით, როგორც მე თვითონ მაქვს გათვალისწინებული და რასაც დაწვრილებით აღვწერ პიესის შესავალში.

ია ეკალაძე.

თბილისი, 30 ივნისი.

„ერთობის“ 29 ივნისის № 144-ში მოთავსებულია ვინმე გ. ა—ბელის წერილი სათაურით—„როდემდის“, რომელიც სხვათა შორის ეხება სასურსათო კომიტეტს და ამბობს: სასურსათო კომიტეტი საპნის მეტს არაფერს გვაწვდის და ისიც სულ ორი სამი თვეა რაც საკმაოთ გვეძლევაო, და განაგრძობს: ორთქლ-მავალის ბრიგადას ყველაზედ მეტად უცვდება ტანისამოსი, მაგრამ არის კი მიღებული ზომები, რომ სამუშაო ტანისამოსით უზრუნველჰყონ იგი? სასურსათო კომიტეტმა ბათუმში შეიძინა კოსტიუმები 3000—8000 მანეთამდე ღირებული—და კითხულობს შეუძლიან, თუ არა შეიძინოს 3000 მან. კოსტიუმები მან, ვისაც 2000 მან. ღებულობს თვეში, და დაასკვნის: საჭიროა სასურსათო კომიტეტმა თავისი მუშაობა გააცხოველოს და შესაფერი საქონელი შეიძინოს. აგრეთვე მოითხოვს, სატარიფო პალატის და მთავრობის ყურადღების მიქცევას.

გამოდის, რომ მემანქანენი და მათი თანაშემწენი ყველასაგან მივიწყებულნი ყოფილან. მე არ გამიკვირდებოდა ხსენებული წერილი ვინმე ლიანდაგის, მთავარ-სახელოსნოს ანუ დეპოს მუშას დაეწერა, ვინაიდან რესპუბლიკაში თუ ვინმე განიცდის ეკონომიურ შევიწროებას, სწორეთ ეს მუშებია, რომლებიც მართლაც და ვერ ღებულობენ თვეში 2000 მანეთზედ მეტს, და თუ რა ძნელია დღეს 2000 მანეთით თვეში ცხოვრება, ეს ყველასათვის ცხადზედ-უცხადესია, მაგრამ რა შუაშია აქ სასურსათო კომიტეტი, მე ვერ გამიგია! შეიძლება ბ-ნ გ. ა—ბელის ჰგონია შესაძლებელი იყოს დღეს კოსტუმების 200—300 მანეთათ შეძენა და სასურსათო კომიტეტი არ იძენდეს. ანუ რომელიმე პიროვნება და თუ გინდ მთავრობა იყოს ასეთი სიძვირის მიზეზი, მაგრამ გ. ა-ბელი-ს ურჩევ წაიკითხოს იმავე გაზ. „ერთობის“ 30 ივნისის № 155-ში მოთავსებული ჩამოსულის ნაამბობი, „წითელ ადერბეიჯანიდან“, სადაც ერთი წყვილი ფეხსაცმელი 35000 მანეთს ფასობს და მაშინ შეიძლება ნახევრათ მატყლის, შეკერილი კოსტუმები 3000 მანეთად არც ისე ძვირი მოეჩვენოს.

მე არ გამოუდგები იმის მტკიცებას, თუ რამდენად შეეფერება სიმართლეს გ. ა-ბელი-ს ნაჩვენები ორთქლმავალის ბრიგადის მოსამსახურეთა 2800—4000 მან. ჯამაგირი თვეში. პირადათ მე ეჭვი მეპარება და ვფიქრობ ხსენებული ციფრები არ შეესაბამება სინამდვილეს, რადგანაც, როდესაც თფილისის დეპოს მემანქანე ფურცელაძე გვინდოდა გადმოგვეყვა სასურსათო კომიტეტის „ტრაქტორის“ მემანქანეთ თვეში 8000 მან. ჯამაგირით, არ ისურვა ჩვენთან სამსახური, რადგანაც „მე იქ მეტსაც ვღებულობ-ო“, განაცხადა. ეს ფაქტი კიდევ ერთხელ ამტკიცებს იმას, რომ ვინც მართლა განიცდის ეკონომიურ გაჭირვებას, იმათ მეტის მოთმინებით გადაიტანენ დღევანდელი დროებითი კრიზისი და უფრო ღრმათ ითვალისწინებენ სიძვირის მიზეზებს, ვიდრე, ისინი, ვინც შედარებით კარგ პირობებშია. ნათქვამია, ათი ცხვრისკენ, ერთიც მგლისკენ-ო. რატომ გ. ა-ბელი ერთ სიტყვასაც არ ამბობს იმის შესახებ, რომ ზოგიერთები სასურსათო კომიტეტის მაღაზიებიდან მიღებული საქონლით სპეკულიაცას ეწევიან და წიგნაკებში შეაქვთ მკვდრები, რასაც ებრძვის კომიტეტი, მაგრამ მარტო კომიტეტი უძლური იქნება მანამ, სანამ თვითონ მომხმარებლებიც არ ამოუდგებიან მხარში კომიტეტს ამ ბრძოლაში.

რწმუნებული ვ. ვ.

გორის ფონდი

მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა დამხმარე მთავარმა ბიურომ ლეჩხუმის ერობისაგან ალ. მიქაშვილის ხელით მიიღო ოთხმოცდაათი ათასი ასორმოცდა ხუთი მანეთი; ეს თანხა შეგროვილია: 1) ერობის სალაროდან 30,000 მ., 2) ერობის მოსამსახურეთაგან 17327 მ. 35 კაპ., 3) გვარდიის შტაბისგან 3980 მან. 4) სახალხო მასწავლებელთაგან 17589 მან. 71 კაპ., 5) ხელის მოწერით და ყულაბით 3524 მ. 35 კ., 6) მაზრის და სოფლის მილიციისაგან 16923 მ. 62 კ., 7) სასამართლოს უწყების მსახურთ. 800 მან.

სულ 90145 მან. 3 კაპ.

რედაქტორი ლევან ნათაძე.

განცხადებანი

1919 წ. მაისში დ. ლაგოდეხიდან სადღაც წავიდა

პავლე ივანეს ძე
გოდერძოვი

მის შემდეგ მის შესახებ ვერაფერი გავიგეთ თუ სად იმყოფება, თუ ვინმემ რამე იცის მის შესახებ გთხოვთ გვაცნობოთ შემდეგი მისამართით: დ. ლაგოდეხი, ალექსანდრე გოდერძოვს.

(2184—2—2)

ექიმი
ნ. ა. არუთინოვი
სპეციალურათ სიფილისი (606 და 91 ვენერიული ტრიპერი, შარდის ორ ნოების ოპერაცია ნდისკოპია (ს მილის). მიხეილის პრ. № 80, ბინა მიღება დილით 9—12 ს. სად. 4 ნა 6 ნახ. საათამდე. (1555—

იყიდება
საკერავი მანქანა-შკაფი
ზინგერის სისტემისა.
პეტრედიდის ქუჩა № 18 მეორე სა თული, ბინა № 6.

ექიმი მ. ა. შაფრანი
სპეციალურად სიფილისი და მისი შ დეგები (შეშხაპუნება „606“ და „914 ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორ განოების სნეულებანი. ავადმყოფების მ ღება ყოველ დღე დილის 8—11 და ს ღამოს 5—8 საათამდე. ქალების 4—5 კვირაობით მხოლოდ დილით. მისამა ოლღას ქ. № 33. (1288 25 4)

ყოფილი 1 კავკასიის კორპუსის ს ხედრო გოსპიტალი—ექიმი
ი. გ. ქუთათელაძე
იღებს შინაგან, კანით (ქეცით) ავამყოფ ოთხფეხ პირუტყვებს და ფრინველებს. ცხენის (ქთაოს) საპს ვიკევე მალეინის შეშხაპუნებით. ჭიით ცხვის სასულე—მილის ავათმყოფობას ვექიმ Neimann-ის და Vessel-ის მეთოდებ ყოველ დღე 3—6 საათ. ბელინსკის ქ. № 39, ბინა 2. (2010—15—1

ექიმი ივ. გოკერია
პლეხანოვის (მიხეილის) პროსპ. № 11; სამხედრო სასწავლებლის პირდაპ ქირურგ., ქალის სნეულებანი და საშ შარო. 1—2 ს. და 5—6 საათამდ ტელეფონი 5—97. (1835—

დოქტორი
გ. გ. მეგრაბიანც
შინაგანი ავადმყოფობა—ჭლექი და გულისა. იღებს ახალს რენტგენ-ელექტრო კაბინეტში. გამოკვლევა და წამლობა სხივებით. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფ. 7—92, მიღება ყოველ დღე 9-12 ს. და საღამოს 6—8 საათამდე (1790-თ.)

ექიმი ზ. ჰ. აღასოვ
სპეციალურად ქირურგიულ ავადმყოფობას, მიღება დღისით; 2—3 საათ, საღამოს 5—7 ს. ელისაბედის ქ. № 112, (ქსნიევის ქ. ახლო) ტელ. № 2. 1951—თ.

ექიმი
გენრიხ ისაიას ძე ვოლფი
(ქუთაისიდან)
ღებულობს ყურის, ცხვირის და ყელის სნეულებიან ავადმყოფებს სად. 4-7 ს. პლეხანოვის პრ. № 76 (მიხეილის), ტელეფონი 7—38. (1741—თ.)

ექიმი
დ. ვ. ჯავახიშვილი
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე დილ. 8 ს. დილის და საღამოს 4—6 საათ მისამართი: მიხეილის პროსპექტი № 64 (საავადმყოფოს ახლო). ტელეფონი 14—60. (1808—თ.)

ექიმი
გ. ი. ოქროპირიძე
იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფ საღამოს 4—6 საათამდის. რტიშჩევის ქ. № 22, სოლოლაკი)

ექიმი ა. დ. პეპელია
სპეციალურად: სიფილისი (შეშხაპუნება „606“ და „914“) ვენერიული და კანის სნეულებანი. ავათმყოფების მიღება: ყოველ დღე დილის 9—11 ს. და საღ. 4—6 ს. მისამართი: მიხეილის პრ. № 116, სასტუმრო „ნოე“ პირდაპირ. ტელეფონი 14—28. 1838 —თ.

ექიმი
ნ. ლ. ტერიაშვილი
იღებს ქალურ, საშვებიო და შინაგან სნეულებით ავათმყოფებს ყოველ დღე პარასკევს გარდა შუადღის 1—2 და საღ. 4—5 ჩერქეზოვის ქუჩა № 22 ყოფილი სასულიერო სასწავლებელი. ტელეფონი 14—13. (1773—თ.)

ექიმი
ა. ლევენშტეინი
შინაგანი და ნერვით სნეულებიანი რენტგენის და ელექტრო სამკურნალო კაბინეტი. მიღება დილის 11—12 ს. და საღამოს 4—7 ს. კრილოვის ქ. № 5, ბინა 3, ტელეფონი 12—46. (1518—თ.)

ნიკოლოზ მახვილაძე
იღებს განსაკუთრებით შინაგან სნეულებით ავათმყოფთ ყოველ დღე, საღამოს 4—6 საათამდე. მისამართი: მოსკოვის ქ. № 11, ზემელის აფთიაქის მახლობლად. (1255 48—6)

ექიმი
სოლომონ ისაიას ძე ვოლფი
(ქუთაისიდან)
იღებს ქალისა და შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილით 12—2 ს. საღ. 5—7 ს. ზელგის ქ. № 5. (1742—თ.)

ექიმი
ნ. მ. მარჯილაძე
(შინაგან და ბავშვთა სნეულებათა, ავადმყოფებს იღებს დილის 8—10, საღამოს 4—7 ს. გრიბოედოვის ქ. № 4.
(ფ. 25—3)

საკუთარი სტამბა, ერთობის ქუჩა № 4.